საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 3 ივლისი. 2019 წ. №132 (8798) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

როცა ერთი ჭკვიანი ბერის სიტყვის ძალა ბევრად აღემატება მთელი ოპოზიციის ნააზრევს!

ბერი გიორგი (რუხაძე)

6-7

ქვეყნისთვის რევოლუციონერი ბავშვიც საშიშია!

კობა კობალაძე:

5

ტამიშის ბრძოლა - ქართველი მეომრების თავგანწირვის უდიდესი მაგალითი

ტამიშის ბრძოლიდან 26 წელი გავიდა!

პრეზიდენტი მიესალმება პროპორციული არჩევნების შესახებ საკონსტიტუციო ინიციატივას

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მიესალმება პროპორციული არჩევნების შესახებ საკონსტიტუციო ინიციატივას. აღნიშნულის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ხატია მოისწრაფიშვილმა „ათონელის სასახლეში“ გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„სალომე ზურაბიშვილი მიესალმება მმართველი გუნდის მიერ შემოთავაზებულ საკონსტიტუციო ინიციატივას პროპორციული არჩევნები 2020-ის თაობაზე კონსულტაციების დაწყებას. პოლიტიკური დიალოგი არის გზა შიდა დეესკალაციისა და საზოგადოებრივი თანხმობისკენ“, – განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

ქართული წყალი გაოქროვდება!..

ბოლოს და ბოლოს ჩვენც უნდა გავმდიდრდეთ!

4

იური აბზიანიძე:

ჩვენ არ ვიცით, რა არის ადრე, ჩვენ ვიცით, რა არის გვიან!

„თუ სამშობლო ფულზე მეტად გიყვარს“

3

ნინო ბურჯანაძე „ეხო მოსკვის“ ეთერში

მაიკლ კარპენტერი:

2

რუსეთი აქტიურად ცდილობს საქართველოსთვის ძირის გამოთხრას

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

7

ქართველო პოლიტიკანებო, ხელები შორს - პოლიტიკისგან!

ვიდეოთამაშები მომწამვლელია!

8

თითქმის მილიონ მომხმარებელს წლის განმავლობაში ვიდეოთამაშის ნაცვლად ინფიცირება ემუქრებოდა

მამუკა ბახტაძე დალიანში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ლი კეციანის მიწვევით დალიანში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის მეთაური ფორუმის გახსნის ცერემონიას დაესწრო, რომელზეც რამდენიმე ქვეყნის ლიდერია მიწვეული. ღონისძიება მისასალმებელი სიტყვებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ-მინისტრმა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელმა კლაუს შვაბმა გახსნეს. მანამდე პრემიერმა ლი კეციანმა მამუკა ბახტაძეს სახელმწიფო რეზიდენციაში უმასპინძლა. საუბრის მთავარი თემები იყო ჩინეთში ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდის პერსპექტივები და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების სრულფასოვანი გამოყენების მნიშვნელობა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჩინეთის საგარეო საქმეთა, კომერციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრები, ასევე სახელმწიფო რეფორმებისა და განვითარების კომისიის თავმჯდომარე, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტ სი ძინპინს ექვემდებარება.

დალიანში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მამუკა ბახტაძე ასევე შეხვედრებს მართავს მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების ხელმძღვანელ პირებთან, რომლებსაც საქართველოში არსებულ შესაძლებლობებსა და საინვესტიციო გარემოს აცნობს.

რატომ ვფლანგავთ მილიონებს?

მილიონობით საბიუჯეტო თანხა იფლანგება სხვადასხვა ორგანიზაციასა და პირებზე, რომლებიც რეალურად პარტიულ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა. როგორც თამარ ჩუგოშვილმა თქვა, ეთანხმება მოსაზრებას, რომ პარტიების დაფინანსების საკითხი ფუნდამენტურად შესაცვლელია.

„წლების განმავლობაში ძალიან მანკიერი სისტემა ჩამოყალიბდა. რეალურად პარტიები ბიუჯეტიდან ფინანსდებიან ერთადერთი მიზნით, რომ ქვეყანაში პარტიული სისტემა განვითარდეს, ჩვენ ეს სურათი ვერ მივიღეთ. საბიუჯეტო თანხა, მილიონობით ლარი იხარჯება და იფლანგება სხვადასხვა ორგანიზაციასა და პირებზე, რომლებიც რეალურად პარტიულ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ. 19 სუბიექტთან მიდის ასეთი დაფინანსება და ვფიქრობ, საქართველოს ყველა მოქალაქეს გაუჭირდება, 19 პოლიტიკური პარტია ჩამოთვალოს. ეს არის იმის ყველაზე ნათელი ინდიკატორი, რომ პარტიების დაფინანსების წესი არასწორია. პარლამენტში შექმნილია საარჩევნო სამუშაო ჯგუფი, რომლის უახლოესი შეხვედრა 8, 9 და 10 ივლისს გაიმართება. სხვა საკითხებთან ერთად ვიმსჯელებთ პარტიებში დაფინანსების წესის შეცვლაზე ისე, რომ დაფინანსება იყოს სამართლიანი და ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პარტიული სისტემა იყოს გამართული“.

პროკურატურა ნიკა მელიას ელექტრონულ მონიტორინგს განახორციელებს

თბილისის სააპელაციო სასამართლომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ნიკა მელიას საქმეზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შესახებ. გადაწყვეტილება მოსამართლე მერაბ გაბინაშვილმა გუშინ გამოაცხადა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ნიკა მელიას ელექტრონულ მონიტორინგს პროკურატურა განახორციელებს. კონკრეტულად, რას გულისხმობს ელექტრონული მონიტორინგი, ამის შესახებ განმარტება არ გაკეთებულა. ამასთან, სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ნიკა მელიას ადვოკატების შუამდგომლობები.

ტურისტული სანქციების გავლენა ეკონომიკაზე 200-300 მლნ დოლარი იქნება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე განმარტავს, რომ საქართველოში ტურიზმის სექტორის დანაკლისმა ეროვნულ ვალუტაზე დიდი წნეხი არ უნდა გამოიწვიოს. სებ-ის პრეზიდენტის თქმით, ტურისტული სანქციების გავლენა ეკონომიკაზე 200-300 მლნ დოლარი იქნება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი და კურსის პროგნოზირება შეუძლებელია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ასევე განმარტა, რატომ ახორციელებდა ეროვნული ბანკი უცხოური ვალუტის შესყიდვას და აღნიშნა, რომ ქვეყანას არაადეკვატური რეზერვები ჰქონდა.

„აუცილებელი იყო რეზერვების დაგროვება. ყოველი მომენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევდა და გვაძლევს, რომ შევავსოთ საერთაშორისო რეზერვები, უნდა გამოვიყენოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია, რომ საერთაშორისო ინვესტორებმა საქართველო განიხილონ საიმედო ქვეყნად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის მეოთხე მიმოხილვის პრესრელიზში ცალსახად არის აღნიშნული, რომ ეროვნული ბანკის ჩარევები საერთაშორისო რეზერვების დაგროვების მიმართულებით არის აბსოლუტურად სწორი და გამართლებული. ეროვნული ბანკის ასეთი ინტერვენციები ლარის კურსზე გავლენას არ ახდენს“, — აღნიშნა კობა გვენეტაძემ.

მაიკლ კარპენტერი:

რუსეთი აქტიურად ცდილობს საქართველოსთვის ძირის გამოთხრას

ბაიდენის ცენტრის დირექტორი და ვიცე-პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი საგარეო პოლიტიკაში მაიკლ კარპენტერი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აფასებს. კარპენტერი თბილისს მოუწოდებს, რომ რუსეთთან სიფრთხილე გამოიჩინოს და ამბობს, რომ მოსკოვი საქართველოში ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა. კარპენტერს „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ანი ჩხიკვაძე ესაუბრა.

— თქვენ თბილისის მოვლენებს აკვირდებოდით. დემონსტრაციები გრძელდება. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ის, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდა, მხოლოდ რუსეთის საკითხმა, თუ ცდება ეს ამ საკითხს?

— ვფიქრობ, რუსეთი მთავარი ფაქტორი იყო. რუსეთის პარლამენტის წევრის სპიკერის სავარძელში დაჯდომა ქართველების უმეტესობისთვის სიმბოლურად სილის გარტყმას წარმოადგენდა. სწორედ ამან გამოიწვია ეს ემოცია, რადგან რეალობაა ის, რომ საქართველო რუსეთის მიერაა ოკუპირებული და ამას გვერდს ვერ აუვლი. ხალხმა ეს იცის და გრძნობს.

— „ქართული ოცნების“ კრიტიკოსები ამბობენ, რომ მთავრობას მოსკოვის გაღიზიანება არ სურს და ამიტომ არ დგამს ნაბიჯებს ქვეყანაში პრორუსული ჯგუფების წინააღმდეგ. ამასთან, მას პროევროპულ მოსახლეობასთან ბალანსის შენარჩუნება სურს. ოპოზიცია საუბრობს იმ ფაქტზე, რომ მთავრობას რუსეთის ჯაშუშები არ დაუჭერია და არ გადაუდგამს მკვეთრი ნაბიჯები, რაც მოსკოვისთვის მიუღებელი იქნებოდა. შედეგად, ისეთმა ჯგუფებმა, როგორიც „ქართული მარშია“, უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვეს და უფრო მეტ თავისუფლებას გრძნობენ. როდესაც საქმე „ქართული ოცნების“ რუსეთის პოლიტიკას ეხება, არსებობს შეშფოთების საფუძველი?

— პროტესტი, რომელიც ვიხილეთ, ნაწილობრივ (რუსეთთან) ნორმალიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ რეაქციაა. ურთიერთობის ნორმალიზაცია და მეგობრული კავშირების შენარჩუნება, იმდენად რამდენადაც შესაძლებელია ოკუპაციის პირობებში, მისაღები და ჭკვიანურია. თუმცა საჭიროა სიფრთხილე და იმის გაანალიზება, რომ რუსეთი საქართველოსთვის ძირის გამოთხრას ცდილობს. მე თბილისში კონფერენციაზე ვიყავი, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას შეეხებოდა. იქ ვისაუბრე იმაზე, რომ რუსეთი ცდილობს, ტურისტების საკითხი შირმად გამოიყენოს და სინამდვილეში საქართველოში უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლობა გაზარდოს — რაც ფაქტია — უდავო ფაქტი. მე იმას კი არ ვაკრიტიკებ, რომ საქართველოში რუსი ტურისტები არიან, არამედ იმას, რომ „ეფ-ეს-ბემ“ (საქართველოში) გაზარდა წარმომადგენლობა და რომ რუსეთი ტურისტებს იყენებს, როგორც საშუალებას, ოპერაციების ჩასატარებლად. ეს ისეთი საკითხია, რასაც გულუბრყვილოდ არ უნდა მივუდგეთ.

— თქვენ თქვით, რომ „ეფ-ეს-ბე“ ტურიზმს სადაზვერვო საქმიანობისთვის შირმად იყენებს. თუმცა, ამასთან საქართველოს დაზვერვას რუსი ჯაშუშების შესახებ ინფორმაცია, სავარაუდოდ, აქვს. ამის გათვალისწინებით, რომელი უფრაა ეს — ტურიზმის პრობლემა თუ საქართველოს მთავრობის უმოქმედობით შექმნილი ვითარება, რომელიც (რუს ჯაშუშებს) დაუსჯელობის განცდას უქმნის?

— როგორც ვთქვი, რუსი ტურისტების ქვეყანაში ჩამოსვლა პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ეს რუსეთის რიგით მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, იხილონ, როგორ ცხოვრობს დემოკრატია. ეს საქართველოს ეკონომიკისთვისაც კარგია. თუმცა რუსეთის სპეცია-

„თუ საშობლო ფულზე მეტად გიყვარს“...

ნინო ბურჯანაძე „ეხო მოსკვის“ ეთერში

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის ყოფილი სპიკერი, ოპოზიციური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი **ნინო ბურჯანაძე** რადიოსადგურ **„ეხო მოსკვის“** ესტუმრა და წამყვანის **მაშა მაიერსის** შეკითხვებს უპასუხა. პოლიტიკოსისა და ჟურნალისტის საუბარი საქართველოში ბოლო ჟამს განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა.

ქალბატონი ნინო ჩვეული პრინციპულობით, კრიტიკულად აფასებს მოვლენებს, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იმაში, რაც დღეს ხდება, რუსეთის დადანაშაულება აბსოლუტურად არასამართლიანი, არასწორია. დამნაშავეა მხოლოდ ჩვენი ხელმძღვანელობა, რომელმაც მოიწვია ის ორგანიზაცია, მოიწვია ბატონი გავრილოვი და თვითონვე დააბრძანა სპიკერის სავარძელში. ხელისუფლებამ გამოიჩინა უხერხემლობა და არაკომპეტენტურობა, ვერ გათვალა, რომ რუსი დეპუტატების საქართველოს პარლამენტში მიწვევა, მით უფრო ჩაჯდომა პარლამენტის სპიკერის სავარძელში, რომელიც თავისუფლების სიმბოლოდ ითვლება, ერთმნიშვნელოვნად გამოიწვევდა ნეგატიურ რეაქციას და აი, უმალ გამოიყენეს კიდეც ეს საოკაშვილის მომხრეებმა.

ინტერვიუერი მიუთითებს, რომ აქციის პირველი ტალღის მონაწილენი იყვნენ სხვადასხვა თაობის და პოლიტიკური გემოვნების ადამიანები, ე.წ. რუსეთუმეებიცა და ანტირუსებიც და ა.შ. ეს იყო პროტესტი. მოგვიანებით, როცა მთელი დღე ადეკვატური პასუხი ვერ მიიღეს ხელისუფლებისგან კითხაზე, თუ როგორ მოხვდა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოს სპიკერის სავარძელში და მხოლოდ იმას ისმენდნენ, რომ ეს პროტოკოლის შეცდომა იყო, მომენტის გამოყენებას უკვე აქტიურად შეუდგა ის ხალხი, ვინც პრინციპში პარლამენტში ინციდენტის პროვოცირება მოახდინა.

ნინო ბურჯანაძე ვრცლად საუბრობს მიხეილ სააკაშვილზე. აღნიშნავს, რომ სააკაშვილი ყოველთვის ცდილობს, გამოიყენოს ნებისმიერი სახალხო მღელვარება პროვოკაციისთვის. ყველაზე ცუდი, რაც მას შეეძლო, გაეკეთებინა ქვეყნისთვის, ის იყო, რომ მთელი ეს პროტესტი ანტირუსულ კამპანიაში გადაეზარდა, იმიტომ, რომ მას ამჟამად მხოლოდ ეს კოზირი აქვს – ანტირუსული დროშა, რომელსაც ის ძალიან ეფექტურად ააფრიალებს ხოლმე. ეს თესლი ახლაც ნოყიერ ნიადაგში მოხვდა. ექსპრეზიდენტის მომხრეთა საბრძოლო მოწოდება აიტაცეს ტელევიზიამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან „დასავლურობასა“ თუ „ანტირუსობაში“ და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

სააკაშვილს მისი ექსცენტრიკულობის, განუჭვრეტელობის მიუხედავად, პოლიტიკური ცხოველია და მართლაც აქვს პოლიტიკური ყნოსვა. ის არის ადამიანი, რომელსაც არაფრის რცხვენია, არაფერს თაკილობს. ის ისედაც ჩასაფრებული იყო, უცდიდა ხელისუფლების შეცდომებს, რომლებიც მართლაც უამრავი იყო. ის ახლა უკრაინაში უცდის საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობას. ნატურით ის მსხვილი რევანშისტია. სწორედ ამან მიიყვანა მისი კარიერა დაღუპვამდე. როცა ხელისუფლებაში იყო, მან დაიწყო ანგარიშსწორება ყველას მიმართ, ვისი უკმაყოფილოც კი ოდესმე ყოფილა, თვით სკოლის წლებშიც კი. არავითარი იდეები მას არა აქვს, არავითარ დემოკრატიას, თვით ამერიკულსაც კი, ის არ ესწრაფვის. ეს ყველაფერი მხოლოდ საშუალება იყო მისთვის მიზნის მისაღწევად. მას ახლა უნდა ივანიშვილის განადგურება, ხელისუფლებაში დაბრუნება და ყველასთვის ანგარიშის გასწორება.

ᲘᲮ. 9 ᲒᲕ.

ლური სამსახურები ამას იყენებენ თავიანთი წარმომადგენლობის გაზრდისთვის, განსაკუთრებით უვიზო რეჟიმის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ რუსულ მხარეს ვიზის რეჟიმი საქართველოსთვის არ გაუუქმებია. ეს ასიმეტრიულია. უვიზო რეჟიმი ქართული მხარის საშუალებას – მისდიონ იმას, რაც ხდება – ართულებს. როგორც თქვენ თქვით, არ მომხდარა (ჯაშუშების) დაკავება, მაღალი პროფილის რუსი ჯაშუშების დაკავება. მსგავსი რბილი მიდგომა საქართველოს უსაფრთხოებას ხელს არ უწყობს.

– როგორ ხსნით საქართველოს ხელისუფლების მსგავს რბილ პასუხს?



– ერთი პასუხი ამ კითხვაზე ისაა, რომ შეიძლება ჩუმად და უხმაუროდ მოქმედებენ, რათა ეს არ იყოს საჯარო. ჩემი კრიტიკა მხოლოდ იმის ხაზგასმაა, რომ არ უნდა ვიყოთ რეალობის მიმართ გულუბრყვილონი. საჭიროა რისკების შესამცირებლად ნაბიჯების გადადგმა. ვფიქრობ, მთავრობა დგამს გარკვეულ ნაბიჯებს, თუმცა არა ისე აგრესიულად, როგორც ამას უნდა აკეთებდეს. მით უმეტეს, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული და სამხრეთ ოსეთში საზღვარს წევს. მსგავს აგრესიულ ქმედებებზე პასუხი მხოლოდ სიჩუმე არ უნდა იყოს.

– რუსეთმა ტურისტებს საქართველოში მოგზაურობა აუკრძალა. მსგავსად, 2006 წელს კი ღვინის და ბორჯომის ექსპორტზე ემბარგო დააწესა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად სანდო პარტნიორი შეიძლება იყოს რუსეთი?

– ყველა, ვინც იხილა პრეზიდენტი პუტინის მხრიდან ტურისტების აკრძალვის გადაწვეტილება, აანალიზებს, რომ რუსეთი არაა სანდო პარტნიორი. სავაჭრო კავშირები კარგია ეკონომიკისთვის... თუმცა გასული დღეების მოვლენები და ბატონი პუტინის გადაწვეტილება აჩვენებს, რომ თუ ერთ პარტნიორზე ძალზედ დამოკიდებული გახდები, განსაკუთრებით თუ ეს პარტნიორი შენს სუვერენიტეტს უთხრის ძირს – ეს ამ შედეგამდე მიგიყვანს.

– მკაცრი იყო „ქართული ოცნების“ პასუხიც. 240 ადამიანი დაშავდა, როგორ შეაფასებდით მთავრობის ქმედებას, და რას ეტყოდით მათ იმ ფონზე, როცა დემონსტრაციები გრძელდება?

– სამწუხაროდ, პირველ ღამეს პასუხი ძალიან სასტიკი იყო. იქ იყვნენ დემონსტრანტები, რომლებიც პარლამენტში შეჭრას ცდილობდნენ, ძალადობა არც ერთი მხარისგან არ უნდა მომხდარიყო. ეს იყო მკაცრი პასუხი. მაგრამ ვფიქრობ, მთავრობამ გაიგო, რომ ეს ნამდვილად სპონტანური დემონსტრაცია იყო. ხალხი ქვეყნის ოკუპანტის, რუსეთის მიმართ გაბრაზებას გამოხატავდა. მთავრობამ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი დემონსტრაციების საპასუხოდ, მათ შორის, მომავალი არჩევნების შესახებ. იმედია, მათ მიიღეს გზავნილი და შესაბამისად უპასუხებენ მას.

– ერთ-ერთი დათმობა, რაზეც მთავრობა წავიდა, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იყო 2020 წლისთვის, თუმცა ნულოვანი ბარიერით. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეცვლის ეს მოცემულობას?

– ზოგადად, ვფიქრობ საქართველოს პროპორციული სისტემა წაადგება. თუმცა ნულოვანი ბარიერი პრობლემატურია, რადგან შედეგად ჩვენ ვიხილავთ რადიკალურ მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებს პარლამენტში, რომლებიც შეეცდებიან გაერთიანებას და პროცესის გართულებას უფრო პასუხისმგებლობით განწყობილი ძალებისთვის. თუმცა ეს შედარებით პატარა პრობლემაა.

– პუტინმა, ქართველებს რუსოფობიაში დასდო ბრალი. ეს უფრო შიდა მოხმარებისთვის გამოჭრილი მესიჯია. ჩვენ უკრაინის შემთხვევაშიც გვესმოდა რუსეთისგან, რომ იქ ანტირუსული სენტიმენტები იყო, მაიდანის დროს და შემდეგაც. როგორ ფიქრობთ, რამდენადაა ეს უფრო დიდი რუსული ნარატივის ნაწილი?

– ეს პუტინის მხრიდან სუფთა პროპაგანდაა. რუსეთი საქართველოში შეიჭრა 2008 წელს და ტერიტორია დაიკავა. მან ხელი მოაწერა შეთანხმებას საფრანგეთის პრეზიდენტის შუამდგომლობით, რომელიც ამბობდა რომ უნდა დაბრუნებულიყო ომისწინა პოზიციებს და ეს მას არ გაუკეთებია. ის არ ასრულებს აღებულ ვალდებულებებს საქართველოში. ასე იქცევა უკრაინაშიც. კიევის წინააღმდეგ ის ყოველდღიურად აწარმოებს ომს, ყოველდღე ამას უკრაინელი მოქალაქეები და სამხედროები ეწირებიან. ეს ფობია არაა უკრაინელების თუ ქართველების მხრიდან. ეს ბუნებრივი რეაქციაა ქვეყნის მიმართ, რომელსაც ოკუპირებული აქვს მათი ტერიტორია. უკრაინაში ცხელი ომი მიდის. ხოლო საქართველოში ეს ფარული ომია, პოლიტიკური და ეკონომიკური იარაღებით – თუმცა ომი.

ᲐᲜᲐ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ

იმოგზაურეთ უვიზოდ ან გამარტივებული პროცედურებით...

ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ კომპანია Henley&Partners-ის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქის პასპორტი საერთაშორისო რეიტინგში მსოფლიოში 53-ე ადგილზეა. ვებგვერდის მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ ან გამარტივებული პროცედურებით მოგზაურობა მსოფლიოს 113 ქვეყანაში შეუძლიათ.

რეიტინგში აზერბაიჯანი 78-ე ადგილზეა, რომლის მოქალაქეებს უვიზოდ ან გამარტივებული პროცედურით მოგზაურობა მსოფლიოს 66 ქვეყანაში შეუძლიათ, ხოლო სომხეთი 84-ე ადგილს იკავებს, 60 ქვეყანაში მოგზაურობის გამარტივებული პროცედურებით. ცნობისათვის, Henley&Partners-ის რეიტინგში პირველობას იაპონია და სინგაპური ინაწილებენ, რომელთა მოქალაქეებსაც გამარტივებული პროცედურებით მოგზაურობა 189 ქვეყანაში შეუძლიათ. გერმანიის, ფინეთისა და სამხრეთ კორეის მოქალაქეებს გამარტივებული პროცედურის მოგზაურობა 187 ქვეყანაში შეუძლიათ.

თბილისში 22 ახალი ნაგავმზიდი იმოძრავებს

„ᲗᲑᲘᲚᲡᲔᲠᲕᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ“ დასუფთავებისთვის ახალი ტექნიკა შეისყიდა. 25 ერთეული ახალი ტექნიკიდან 22 ნაგავმზიდია, რომელიც მოძველებულ, მწყობრიდან გამოსულ ტექნიკას ჩაანაცვლებს. ასევე, შეძენილია ერთი გზის დასახაზი მანქანა-დანადგარი და ორი მარილმომყრელი და თოვლმწმენდი, რომლებიც დედაქალაქში მოსული უსვი ნალექის დროს, გზის გაწმენდასა და ტექნიკური მარილის დაყრას უზრუნველყოფს.

ევროპის მოედანზე ახალი ტექნიკის პრეზენტაცია თბილისის მერმა კახა კალაძემ გამართა. დედაქალაქის მერმა გაწეული საქმიანობისთვის „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მომავალში დამატებითი ტექნიკის შეძენა კვლავ იგეგმება.

ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲛᲓᲘᲓᲠᲓᲔᲗ!

ᲒᲐᲖᲔᲗ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2019 წლის 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის, ღირსეული ქართველის, სახალხო მოძრაობის „საქართველოს ეკონომიური აღმავლობისაღვის“ დამფუძნებლის, ბატონ რომან რურუას წერილი „ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲫᲝᲜᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲫᲝᲜᲔᲗᲐ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲐᲚᲗ!,“ რომელშიც ის ჩვენს მოსახლეობას სიღარიბიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ საინტერესო გზას სთავაზობს.

წერილში ბატონი რომანი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს ქართველ მეცნიერს, კვანტური ფიზიკის სპეციალისტს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲣᲗᲮᲣᲜᲘ, რომლის წიგნიდან „ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ“ თავისი მოსაზრების გასამყარებლად ვრცელ ამონარიდებს გვთავაზობს.

წიგნი — „შესაძლებლის აღსრულება“ არის ტრილოგიის პირველი ტომი. ტრილოგიაში კი გადმოცემულია სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მეტად ორიგინალური და საინტერესო მეცნიერული ნაშრომი, სახელწოდებით „ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ.“

შევეცდები, შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინო თეორიის არსი და მნიშვნელობა, ასევე რა გვაწუხებს და რა გვსურს მის ირგვლივ შემოკრებილ გუნდს.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲠᲔ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲕᲘᲐᲜ! ᲐᲜᲣ ᲠᲝᲪᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲕᲓᲔᲑᲐ!..

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲐ 278. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲘᲗ ᲨᲔᲘᲕᲡᲔᲑᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ, 18 ᲗᲕᲔᲨᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲐ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲙᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲕᲐᲮᲡᲔᲚᲔᲗ, ᲒᲐᲜᲒᲛᲐᲠᲢᲝᲗ ᲠᲐ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲐ 278. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲘᲗ ᲨᲔᲘᲕᲡᲔᲑᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ, 18 ᲗᲕᲔᲨᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲐ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲙᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲕᲐᲮᲡᲔᲚᲔᲗ, ᲒᲐᲜᲒᲛᲐᲠᲢᲝᲗ ᲠᲐ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲘᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲪ, ᲐᲢᲝᲛᲘᲪ, ᲭᲘᲐᲜᲭᲕᲔᲚᲐᲪ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲪ ᲓᲐ Ა.Შ. ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲐ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲔᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲖᲝᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ - ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘᲗ ᲩᲐᲐᲪᲕᲚᲔᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲝᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲣᲬᲝᲓᲔᲡᲘ.

ᲓᲘᲐᲮ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ — ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲕᲥᲕᲡ. ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲐᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲗᲣ ᲥᲕᲔᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲠᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲔᲡ ᲘᲒᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

ᲬᲘᲒᲜᲘ — „ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ“ ᲐᲠᲘᲡ ᲢᲠᲘᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲝᲛᲘ. ᲢᲠᲘᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ.“

ᲨᲔᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘ, ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲝ �თᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲠᲐ ᲒᲕᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲛᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲚ ᲒᲣᲜᲓᲡ.

როგორც მრავალი თქვენგანი, ჩვენც გულწრფელად განვიცდით იმას, რომ:

- **ირგვლივ მხოლოდ გადაუჭრელი პრობლემებია: ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ტერიტორიული, სოციალური, ფინანსური, სულიერი და ა.შ.**
- **მინიმალური საარსებო პირობების უქონლობის გამო ქვეყნიდან უწყვეტად გაედინება სამუშაო და ინტელექტუალური ძალა.**
- **თანამემამულეთა ასეთი ქმედება ქვეყანას არა მარტო დემოგრაფიულად აზიანებს, არამედ პატრიოტული მუსტიც ნავლდება.**
- **გამოთავისუფლებულ სოციალურ სივრცეს ახლო თუ შორეული მეზობლები უმალ ავსებენ.**
- **შობადობა დაბალია, ერი ფიზიკურად ბერდება.**

განსაკუთრებით გვაწუხებს ის, რომ ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო საქართველო თავისი ნებით ჩაეწერა გაეროს მიერ გამოქვეყნებულ მომაკვდავ ერთა სიაში.

არადა, იმავე გაერომ სხვა კრიტერიუმებით გამოარჩია ათი ბედნიერი ქვეყანა, რომლის პირველი ხუთეული, ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს შესადარია, ბუნებრივი პირობებით კი ყველას ბევრად აღვემატებით. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს ღირსეული ცხოვრების დამკვიდრება, ჩვენ კი ვერა.

პიროვნულად ერთი ქართველი ერთ ნორვეგიელს, შვეიცარიელსა თუ ისლანდიელს თუ არ აღემატება, არც არაფრით ჩამორჩება. ბუნებრივად იბადება კითხვა, მაშ, ერთად შეკრებილებს ისეთი რა გვემართება, რომ მთელი 3500 წლის მანძილზე ეკონომიური პრობლემა დაუძლეველ ბარიერად გვექცა? რა მოვიმოქმედოთ?

სწორედ ამ ურთულესი სოციალური პრობლემის გადასაჭრელად დაიწერა **მატრიცული თეორია.**

ავტორმა ეს სახელწოდება რიგ მოსაზრებათა გამო შეარჩია, რომელთაგან გამოვყოფ მთავარს. მატრიცა, როგორც პირველსაწყისი, დედა, წარმოშობს, ბადებს ახალს. ასევე ეს თეორიაც სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისეთ ახალ მოდელს გვთავაზობს, რომლის საფუძველშიც სულიერება პირველადაა გათვალისწინებული.

სხვა სიტყვებით, ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა შესაბამისად, ეთიკა აყალიბებს ურთიერთობის გარკვეულ ნორმებს, შემდეგ ამ ნორმების აღმასრულებელი საზოგადოება ქმნის სახელმწიფოს.

ვღებულობთ ლოგიკურ ჯაჭვს:

ეთიკა — ნორმა — საზოგადოება — სახელმწიფო.

ჯაჭვის რგოლების ასეთი თანმიმდევრობა სრულ ჰარმონიაშია ბუნებრივ კანონზომიერებასთან და ემსახურება პროგრესს, განვითარებას.

თავად ეთიკა თეოლოგიის გადმოსახედიდან უნდა ეფუძნებოდეს ყველაზე ჰუმანურ და პროგრესულ ქრისტიანულ რელიგიას.

ჩვენი გუნდი მთლიანად ვიზიარებთ რა ამ თეორიის კონცეფციას, ჩვენთვის განსაკუთრებით მიმზიდველია ის, რომ თეორიაში მტკიცებულებითაა მოცემული დაცემული ეკონომიკის უმოკლეს დროში, 18-24 თვეში აღზევების შესაძლებლობა.

ბატონი თამაზის პირველი წიგნის სათაურიც „შესაძლებლის აღსრულება“ ამაზე მიგვანიშნებს.

მეგობრებო, ეს არ გახლავთ ღიმილის მომგვრელი უტოპია. ასე ხდება რეალურ ცხოვრებაში. ეს იცოდა გენიალურმა **ჰეგელმა,** როცა კაცობრიობა დამოძღვრა: **„ამ სოციალურ სამყაროში ნებისმიერი ცვლილება ხდება სწრაფად ან არასოდეს“.** ამასვე ადასტურებს ადამიანთა ისტორიაში აღწერილი ასეულობით მაგალითი.

მეგობრებო, შესაძლოა, ვინმეს პროტესტის გრძნობა გაუჩნდეს, საფრანგეთი, გერმანია, ევროპის უდიდესი ქვეყნები, აქეთ დიდრო, ვოლტერი, დეკარტე, ნაპოლეონი, იქით კანტი, ჰეგელი, ბეთჰოვენი, გოეთე... ასეთი კორიფეების მშობელი ხალხისთვის შეუძლებელი არაფერია.

ახლა გეპატიჟებით აზიაში, მალაიზიის ნახევარკუნძულთან მდებარე პატარა კუნძულზე. იგი ტერიტორიით თბილისზე ოდნავ მცირეა, მასზე ერთი ნაკადული კი არ მოედინება და მტკნარი, ანუ სასმელი წყალი, რომელიც კონტინენტიდან შემოაქვთ, ოქროდ ფასობს. მოსახლეობა ჭრელი: ჩინელები, ინდოელები, მალაიზიელები, აბორიგენები და ევროპიდან გაქცეული კრიმინალები, მათ ერთმანეთის ატანა არა აქვთ და ერთი ბიდონი წყლისთვის ერთმანეთს ხოცავენ. 1968 წელს ქვეყნის სათავეში მოექცა ერთ-ერთი კლანის ლიდერი, ვინმე **ლი კუან იუ**. მან თავისი კლანის ინტერესები სამშობლოს სიყვარულს ანაცვალა და თანამოაზრეებთან ერთად იღვაწა ქვეყნის გაძლიერებისათვის. 1970 წლიდან ეს ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთი ეკონომიკური და ფინანსური ცენტრი ხდება. ჩვენ ვისაუბრეთ სინგაპურზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲐ 278. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲘᲗ ᲨᲔᲘᲕᲡᲔᲑᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ, 18 ᲗᲕᲔᲨᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲐ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲮᲓᲮᲝᲑᲘᲚ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ 2 ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔᲪ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲓᲘᲐᲮ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲮᲕᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘ. ᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕ.

აი, ასეთი აზროვნების ნაკლებობას განვიცდით ქართველები. ოდითგანვე ვხვდებოდით, რომ ძალა ერთობაშია. ეს სიტყვათწყობა სახელმწიფო გერბზე სლოგანადაც კი ამოვტვიფრეთ, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, გიორგი ჭყონდიდელის მსგავსად გვიფიქრია კი ვინმეს, ერთობა რაშია? რა ქმნის მას?

ადამიანი ერთდროულად ინდივიდიცაა და სოციალური არსებაც. ამიტომ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, სხვა ადამიანებთან მტკიცე ურთიერთობით ჩამოაყალიბოს ის საზოგადოება, რომელშიც თავისი ინდივიდუალური პოტენციალის სრულად რეალიზებას მოახერხებს.

მატრიცული თეორიის გადმოსახედიდან მტკიცე ერთობას ვერ შექმნის ვერც დამაჯერებლობისთვის რამდენიმე მაგალითი მოვიშველიოთ.

1799 წელი, საფრანგეთი. ჯერ კიდევ მუშაობს გილიოტინა, სხვა არაფერი. იძარცვება და ნადგურდება ყველაფერი, რაზედაც ადამიანებს ხელი მიუწვდებათ...სახელმწიფოებრივად მოაზროვნე გენიოსმა ნაპოლეონმა, გააანალიზა რა არსებული მდგომარეობა,შემოიკრიბა ერთგული თანამოაზრენი და საბანკო რეფორმა ჩაიფიქრა. მის მომზადებასა და განხორციელებას ერთი წელი დასჭირდა. 1802 წლისთვის ნაპოლეონის დაქვემდებარებაში იყო 640 ათასი კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი, თუ წარმოვიდგენთ, იმ დროისთვის რა თანხა სჭირდებოდა ერთი ჯარისკაცის ეკიპირებას, ასევე ცხენის გაწვრთნასა და აღკაზმვას, აღმოჩნდება, ქვეყანამ ორ წელიწადში კოლოსალური ეკონომიური სიმძლავრე შექმნა.

გადავინაცვლოთ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ, ორად გახლეჩილ, ნანგრევებად ქცეულ გერმანიაში. გამარჯვებულებმა პირწმინდად გაძარცვეს ქვეყანა. 1949 წელს ე.წ. ფედერაციულ გერმანიაში ხელისუფლების სათავეში მოდის 72 წლის ადენაუერი. მისმა გამჭრიახობამ და სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ, ხალხის ერთსულოვნებამ, ქვეყანა ორ წელიწადში ააღორძინა და 1951 წლისათვის ქვეყნის ბიუჯეტი მთელი გერმანიის ომისწინა, 1939 წლის ბიუჯეტს გაუტოლდა.

ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ თუ ᲥᲕᲔᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲠᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲔᲡ ᲘᲒᲘ, ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ, ᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲖᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲛᲐᲙᲕᲓᲐᲕ ᲔᲠᲗᲐᲗᲐ ᲡᲘᲐᲨᲘ.

ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲘᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲔᲠᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲐ ᲐᲗᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲔᲣᲚᲘ, ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲓᲐᲠᲘᲐ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲛᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲒᲕᲘᲠᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲛᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲚ ᲒᲣᲜᲓᲡ.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲠᲔ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲕᲘᲐᲜ! ᲐᲜᲣ ᲠᲝᲪᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲕᲓᲔᲑᲐ!..

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲐ 278. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲘᲗ ᲨᲔᲘᲕᲡᲔᲑᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ, 18 ᲗᲕᲔᲨᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲐ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲙᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲕᲐᲮᲡᲔᲚᲔᲗ, ᲒᲐᲜᲒᲛᲐᲠᲢᲝᲗ ᲠᲐ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲘᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲪ, ᲐᲢᲝᲛᲘᲪ, ᲭᲘᲐᲜᲭᲕᲔᲚᲐᲪ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲪ ᲓᲐ Ა.Შ. ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲐ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲔᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲖᲝᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ - ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘᲗ ᲩᲐᲐᲪᲕᲚᲔᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑ

ლია აზროვნების ახალ, მაღალ დონეზე გადავინაცვლოთ და პრობლემის გადაჭრა იქედან ვცადოთ.“

როგორ ხდება აზროვნების ამაღლება?

ნილს ბორის დამატებითობის პრინციპის თანახმად, არსებული პრობლემა მრავალი ხედვის კუთხიდან უნდა შევისწავლოთ, რათა შეძლებისდაგვარად მეტი სასარგებლო ინფორმაცია დავაგროვოთ მასზე.

აუცილებლად დადგება მომენტი, როდესაც შინაგანად იგრძნობ, რომ დაგროვილი ცოდნა საკმარისია პრობლემის დასაძლევად და წყვეტ კიდევაც მას. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ უკვე გადახვედი აზროვნების ამაღლებულ დონეზე.

პატივცემულო მკითხველო, შევეცდები, ჩამოვაყალიბო მატრიცული თეორიის უპირატესობანი ანალოგიური ხასიათის თეორიებთან მიმართებაში.

მაშ, ასე:

● ამ თეორიას საფუძვლად უძევს ბუნებაში მოქმედი უდიადესი პრინციპები: ენერგიის დისპაციის მინიმუმის, რაოდენობის ცვლილების ხარისხში გადასვლისა და პირუკუ, სიჭარბის, დამატებითობის, სიმეტრიის, ლე შატელიეს და ა.შ., ამდენად იგი დროში საკმაოდ მდგრადია და ამასთანავე მოქნილიც, შეუძლია საჭიროებისამებრ უმტკივნეულოდ შეცვალოს განვითარების მიმართულების ვექტორი.

● მატრიცული თეორია გვთავაზობს არაძალადობრივ, ბუნების კანონზომიერებებთან ჰარმონიაში მყოფ განვითარების ერთადერთ რეალურ გზას.

● პრობლემის გადაჭრისათვის მატრიცული თეორიის შეიარაღებაში არის არა მარტო წარსულისა და აწმყოს ანალიზის შედეგად დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, არამედ მომავლიდან მიღებული ცოდნაც. რაც გულისხმობს: წარმოსახვით გადავდივართ მომავალში, წარმოვიდგენთ პრობლემის განვითარებისა და გადაწყვეტის ყველა შესაძლო ვარიანტს და მათგან გამოვარჩევთ ყველაზე ალბათურს, ეს კი ნიშნავს, რომ თეორიას შეუძლია მომავლის პროგნოზირება, ანუ გააჩნია მიზანი.

● მატრიცული თეორიაა ის მეთოდოლოგია, რომელსაც ხელეწიფება ჩვენთან გამეფებული უწესრიგობიდან უსწრაფესად, ნახტომისებურად გადაგვიყვანოს ქაოსში, რათა ასევე სწრაფად დაიბადოს წესრიგი და დაიწყოს სწრაფი ეკონომიური აღმავლობა.

● მატრიცულმა თეორიამ მშვენივრად უწყის, აზროვნების მაღალ დონეზე გადასვლას მთელი ერი ვერ შეძლებს და ეს არცაა აუცილებელი. საკმარისია მთავარმა ქვესისტემამ იგრძნოს მაღალი აზროვნების მოთხოვნილება და შეძლოს მასზე გადასვლა, შემდეგ იქიდან იმდენად შეამციროს დონეთა სხვაობა, რომ ამაღლება ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოების დანარჩენი აქტიური ნაწილისთვისაც.

● მატრიცულ თეორიაში ერთ ფრაზასაც ვერ იპოვით შესაბამისი მტკიცებულების გარეშე. ხოლო მის მესამე ტომში, რომელიც მზადაა გამოსაცემად, დეტალურადაა გაწერილი, თუ რა, როდის და როგორი თანამიდევრობით უნდა აღსრულდეს.

მეგობრებო:

თუ თქვენთვის ადამიანი მიზანია და არა საშუალება,

თუ თქვენ გიყვართ შვილები,

თუ თქვენ ქვეყნის მომავალი გაფიქრებთ,

თუ თქვენ ხვალინდელი ქათამი გირჩევნიათ დღევანდელ კვერცხს,

თუ თქვენ შეუჩვეველი ლხინი გირჩევნიათ შეჩვეულ ჭირს,

თუ თქვენ სხვა სამშობლო არ გაქვთ, თქვენი სამშობლოს გარდა,

მობრძანდით, ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობა სასურველ შედეგს სწრაფად გამოიღებს.

თუ თქვენ უკეთეს გზას შემოგვთავაზებთ, ჩვენ გულისყურით მოგისმენთ.

ურთიერთობა ყველა შემთხვევაში აუცილებელია.

საკონტაქტო ტელეფონი
599 166 877.
იური აბზიანიძე

კობა კობალაძე:
ტამიშის ბრძოლა - ქართველი მეომრების თავგანწირვის უდიდესი მაგალითი

ტამიშის ბრძოლიდან 26 წელი გავიდა!

1993 წლის 2 ივლისს, დილის 5 საათზე, დაბა ტამიშთან აფხაზურმა მხარემ რუსეთის სამხედრო ხომალდით საზღვაო დესანტი გადმოსხა. დესანტი 600 კაცისგან შედგებოდა. გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშში, ლაბრასა და ზემო კინთხში განლაგებულმა ქართულმა ქვედანაყოფებმა მიიღეს. დესანტთან ერთად, გააქტიურდა აფხაზური ფორმირება. მოწინააღმდეგემ ქართული შენაერთების ნაწილს ჩრდილოეთიდან შეუტია. შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პოზიციაზე მყოფი ყველა ქართველი ჯარისკაცი ემსხვერპლა. პირველი დარტყმა დუშეთის ბატალიონმა მიიღო, დანაკარგი განიცადეს „შავნაბადასა“ და „ავაზას“ ბატალიონებმა.

ქართულმა მხარემ რამდენიმედღიანი ბრძოლის შედეგად 300-მდე მებრძოლი დაკარგა. მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ქართველმა ჯარისკაცებმა დესანტის მოგერიება შეძლეს, პოზიციები შეინარჩუნეს და საზღვაო დესანტი მთლიანად გაანადგურეს. სერიოზული დანაკარგების მიუხედავად, ქართველებს საბრძოლო თვალსაზრისით, სტრატეგიული ზონა მაშინ არ დაუთმიათ. 11 ივლისს ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალი მთლიანად გაიხსნა. ტამიშში რუსული დესანტის გადმოსხმა სოხუმის აღებისკენ იყო მიმართული, მაგრამ დესანტის მოგერიებამ ეს გეგმა რამდენიმე თვით გადაწია. აფხაზეთის ომის ერთერთი ეპიზოდის - 1993 წლის ივლისის ბრძოლა — საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ქართველი მეომრების თავგანწირვის უდიდესი მაგალითი.

მინდა, მივუსამძიმრო თითოეული მეომრის ოჯახს და მთელ ქვეყანას! უფალმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს გმირთა სულებს! ცოცხლად დარჩენილებს კი გამთლიანებულ და ძლიერ ქვეყანაში ეცხოვროთ!...

მჯერა, საქართველო გამთლიანდება და აფხაზ და ოს ძმებთან ერთად ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ სახელმწიფოში. ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ჩვენი და ჩვენი შვილების საერთო მომავალი!!

„ღირსეული პასუხი - 2019“

სენაკში, მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე მედიასწავლება „ღირსეული პასუხი — 2019“ დაიწყო.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სწავლება უკვე მესამედ ტარდება და მასში 21 მოქმედი და მომავალი ჟურნალისტი, ფოტოგრაფი და ოპერატორი მონაწილეობს. მონაწილეები სწავლების პროცესში 6 ივლისის ჩათვლით 24-საათიან რეჟიმში ჩაერთვებიან.

გახსნის ცერემონიალზე მონაწილეებს მასპინძელი ბრიგადის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა კობა გრიგოლიამ სიტყვით მიმართა და თანამედროვე საინფორმაციო გამოწვევების პირობებში სწავლების მნიშვნელობაზე ესაუბრა.

თავდაცვის უწყების ინფორმაციით, სწავლება ჰიბრიდული გამოწვევების პირობებში ჟურნალისტების მომზადებაზეა აქცენტირებული. შესაბამისად, მასში ჩართულია საქართველოს თავდაცვის ძალების სხვადასხვა კომპონენტი. მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ წლევანდელ სწავლებაზე გათამაშების პროცესში აღნიშნული კომპონენტების რაოდენობა გაიზარდა და მასში სპეციალური ოპერატიული ძალებისა და მეორე ქვეითი ბრიგადის შესაძლებლობების გარდა, საბრძოლო-საინჟინრო ბატალიონისა და სამხედრო პოლიციის კომპონენტიც ჩაერთო.

სწავლება ორი, თეორიული და პრაქტიკული ეტაპისგან შედგება. თეორიული ნაწილი მონაწილეებისთვის საინფორმაციო ომის, დეზინფორმაციის, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების, პროპაგანდისა და ამ გზაზე, სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ითვალისწინებს.

ასევე, თეორიულ ნაწილში სწავლების მონაწილეებს თავდაცვის ძალების სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალისტები პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მიაწვდიან, სპეციალური ოპერაციის ძალების წარმომადგენლები კი, თვითგადარჩენის პრაქტიკულ კურსს ჩაატარებენ. სწავლების თეორიულ ნაწილში ასევე ჩართული არიან საბრძოლო-საინჟინრო ბატალიონის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეებს ქიმიური უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციასა და ფეთქებადსაშიშ ტერიტორიაზე მუშაობის პრინციპებსა და უსაფრთხოების ზომებს გააცნობენ. თავდაცვის სამინისტროს ფსიქოლოგები კი სტრესისა და სტრესის მართვის პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას გაუზიარებენ.

პრაქტიკული ნაწილი კი რეალური გარემოს სიმულაციური გათამაშება იქნება, სადაც „გამთამაშებლები“ საინფორმაციო ველში რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციებს, ასევე ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის ბარიერებს შექმნიან.

საქართველოდან 1000 ტონამდე ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი განხორციელდა

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ატმისა და ვაშლატამას საბითუმო ფასი, მინიმალური 0.7 ლარი, ხოლო მაქსიმალური 1.5 ლარია.

ატმის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, გასული წლის მსგავსად, ექსპორტიორებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა ერთი ფანჯრის პრინციპით ხორციელდება. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან ფიტოსანიტარიული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლები.

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს საქართველოში ატმის მოსავლის აღება დაგვიანებით დაიწყო, რამაც განაპირობა ექსპორტის დაბალი მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. გასულ წელს ამავე პერიოდში ექსპორტირებული იყო 2,000-ზე მეტი ტონა.

ატმის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფი აქტიურად მუშაობს ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციის, ფერმერებისა და ატმის რეალიზატორების დაკავშირების მიმართულებებით.

ქოცებო, წააკითხეთ ეს წერილი თქვენს მხარდამჭერებს!

როცა ერთი ჭკვიანი ბერის სიტყვის ძალა ბევრად აღემატება მთელი ოპოზიციის ნააზრევს!

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ 30 წლის განმავლობაში, სხვადასხვა განსაცდელმა არაერთი ჩვენი ეროვნული ნაკლი გამოამჟღავნა, რომელშიც ღირსეულმა წინაპრებმა ადრეც ბევრჯერ გვამხილეს. თუმცა შურით, ამპარტავნობით, გაუტანლობით, ღალატით ან სიბილწით ვინმეს თავი მოეწონებინოს, ვერავინ გაიხსენებს.

ახლა კი, 20 ივნისის საღამოდან მოყოლებული, ყოველდღე 19 საათზე პარლამენტის წინ იშლება პანო, რომელიც ფერად-ფერადი ადამიანების სიჭარბითა და ბილწი ლოზუნგებით წარმართულ ბაკქანალიას ჰგავს. თავიდან საზოგადოებას ეგონა, რომ აქ მყოფი „გულანთებული ბავშვები და ახალგაზრდები“ სამშობლოს სიყვარულით აღძრულმა პროტესტმა აამხედრა, მაგრამ „სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა,... ყოველსა მოითმენნ“ (1კორ. 13,4-7).

დავუკვირდეთ პავლე მოციქულის მიერ მოცემულ სიყვარულის კოდექსს და შევამოწმოთ ჩვენი მსჯელობანი ამ სათნოებაზე, რათა ბოროტს კეთილი არ ვუწოდოთ და შავს თეთრი.

1. **სულგრძელობა** მოთმინებას, აუჩქარებლობას, დიდსულოვნებასა და კეთილშობილებას გულისხმობს. ე.ი. პროტესტის გამოხატვამდე აუცილებელი იყო პარლამენტში მომხდარი ფაქტის გულდასმით გამოკვლევა და შემდეგ სათანადოდ რეაგირება.

2. **განლაღება** გაამაყებას, გაამპარტავნებასა და გათავხედებას ნიშნავს. ე.ი. გათამამება და გადიდგულება კი არ იყო საჭირო, არამედ თავმდაბლობის გამოჩენა და გაფრთხილება საკუთარი მამულისა, რომელსაც მტრებისგან თავსმოხვეული შფოთი და განსაცდელი ისედაც არ აკლია.

3. **სასირცხო** საქმე სიყვარულს არ ახასიათებს. ე.ი. როცა რამე სიყვარულით კეთდება, იქ არ შეიძლება იყოს ლანძღვა, გინება, ბილწსიტყვაობა, მკრეხელობა და მისთანანი. მომიტინგეებმა კი არა მარტო ბილწი ჰიმნები შეასრულეს, არამედ ჩვენი სათაყვანო საჭეთმპყრობელის სახელიც კი შეურაცხყვეს.

4. **მრისხანება** სიყვარულთან შეუთავსებელია. მარტო პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტებიც კი საკმარისია ეგზალტირებულ მომიტინგეთა დასახასიათებლად, როცა ეს გამძვინვარებული მასა კორდონიდან გამოტაცებულ მსხვერპლს დაგლეჯას უპირებდა.

5. **სიცრუე** სულის სიძულვილს ნიშნავს და ამიტომ იგი არ შეიძლება სიყვარულს ახარებდეს. რამდენი ცილისწამება და ტყუილი ითქვა პარლამენტის წინ ამ დღეებში, უბრალოდ, დათვლა შეუძლებელია. ადამიანები ყველას თვალწინ ისე თვალთმაქცობენ, გეგონება, რეალურ გარემოში არ იმყოფებიან.

— ახლა მითხარით, სად არის ან რაში ჩანს პროტესტანტების სიყვარული?! მით უმეტეს, რომ ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს მათ საერთო შემადგენლობაზე, რომელსაც არავითარი გამაერთიანებელი იდეა და ამაღლებული მიზანი არ შეიძლება ჰქონდეს, გარდა შეკვეთილი პოლიტიკური მოთხოვნებისა, რადგან ამორალური სექტები (ლგბტ, ნაცები) არსად და

ბერი გიორგი (რუხაძე),

ფილოსოფიის დოქტორი.

ქვეყნისთვის რევოლუციონერი ბავშვიც საშიშია!

ცოდვებმა ისე დაგვამძიმა, რომ ახლანდელი მთავრობის მოქმედებებში მხოლოდ ცუდის დანახვას ვცდილობთ, მაშინ, როცა ამ ჩვენმა პატარა ქვეყანამ, კაცმა არ იცის, როგორ ზეწოლას გაუძლო და დასავლეთის დიდ სახელმწიფოთაგან განსხვავებით ერთნაირსქესიანთა ქორწინება არ დააკანონა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი ერთ წინადადებაში კი ჩავატიეთ, მაგრამ ვიცით განა, ეროვნული ღირსების დასაცავად რა ძალისხმევა დასჭირდა ჩვენი ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელს?

არასდროს არც ერთ ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანენ.

შესაძლოა, მომიტინგეთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც ნაცების ან გეების პრინციპებს თავიდან პატივს არ სცემდნენ, მაგრამ ცრუ პოლიტიკოსებისადმი მორჩილებამ ისინიც საერთო იდეოლოგიურ წნეხში მოაქცია და ყველა ერთ მბრძანებელს, ნაც პრეზიდენტს დაუქვემდებარა. საერთოდ, როგორც სექტებისთვის არის დამახასიათებელი, ნაცებსაც გადაბირების თავიანთი მეთოდები აქვთ (ნარკოტიკები, შანტაჟი და სხვ.). ამიტომ პარლამენტის წინ დამდგარი ჭაობიდან თავის დაღწევას ადვილად ვერავინ შეძლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავისთავად ბუყბუყს არ შეწყვეტს; პირიქით, იგი ვინმეს ფეხის დაცდენასა და მსხვერპლთა რაოდენობის გაზრდას ისევ მოთმინებით დაელოდება. საიმედო მხოლოდ ისაა, რომ, თუ ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების მორევში მალე ვერ ჩაითრიეს, მათი დამფინანსებლები სახსრებს ამაოდ არ გაფლანგავენ და მათთვის ხელსაყრელ მომენტს დაელოდებიან.

მოქმედების უტყუარ გეგმას, რა თქმა უნდა, მე ვერავის შევთავაზებ და ვერც ჭკუის სწავლებას ვაკადრებ, მაგრამ წერილს იმიტომ ვაქვეყნებ, რომ ამ მძიმე ჟამს მართლმადიდებლებს მხნეობა შევმატო და ჩემი მხრივ შევახსენო, რომ, თუკი ვართ „მარილი სოფლისა“, სამშობლოს გადარჩენისთვის ხმის ამაღლება გვმართებს. გზა-ლოს გადარჩენისთვის ხმის ამაღლება გვმართებს. გზა-ტომურ სახელმწიფოს მთელი მსოფლიო ანგარიშს

აბნეულ თანამემამულეებს უნდა შევაგონოთ, რომ ჩვენს სიცოცხლეს სიმართლის მხარდაჭერის გარეშე აზრი არა აქვს. არავინ იცის, იქნებ სწორედ ამ მომენტში გამოჩენილმა სიმამაცემ გადაწყვიტოს ჩვენი მარადიული არსებობის ბედი.

განსაკუთრებით მინდა, თქვენი ყურადღება დღეისთვის მეტად აქტუალურ საკითხს, რუსი ერისადმი სიძულვილის ფენომენს მივაპყრო, რადგან რუსოფობიურმა ისტერიამ ყოველგვარი მორალური ზღუდე გადალახა და მისით წალეკილი საზოგადოების გამკივანი ხმა დასაკლავად გამზადებული გოჭის ჭყვიტინს დაამსგავსა. ისტორიულ მოვლენათა არმცოდნე, მაგრამ ამბიციური მოქალაქეები, ყვითელი პრესის ტერმინოლოგიის მოშველიებით, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის პრობლემებზეც კი ნიშნის მოგებით საუბრობენ.

პრეზიდენტის, რომლის ატომურ სახელმწიფოს მთელი მსოფლიო ანგარიშს უწევს და მის მზარდ პოლიტიკურ გავლენას ამერიკაც ვეღარ აფერხებს, კარიკატურებს ვძმნით და მეძავების ბილწ სხეულებზე გამოსახვით ვხაროობთ?! საცოდავი გოჭი იმიტომ ვახსენე, რომ ლაჩარისა და უგუნურის გარდა, მასზე ათასჯერ ძლიერს შორიდან ძვის სროლას არავინ დაუწყებს. პირველი შედეგები უკვე ვიწვნიეთ, ხოლო, თუ ამ უბედურებას ზღვარი არ დაედო, კრახი გარდაუვალია: НАПОР ВЫЗЫВАЕТ ОТПОР.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად ცოტა არ მიმუშავია და ამიტომ დანამდვილებით შეიძლია გითხრათ, რომ ქართველმა

ქართველო პოლიტიკანებო, ხელები შორს – პოლიტიკისგან!

პოლიტიკოსების, არასამთავრობო სექტორის და ჟურნალისტიკის წყალობით რომ რუსოფობია ვარსკვლავებს წყვეტს ციდან, აღარავის უკვირს საქართველოში. საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა თანხმდება, რომ რუსეთი აგრესორი, ოკუპანტი და საუკუნეთა განმავლობაში გამოცდილი მტერია. ზოგიერთთა მიხედვით უფრო მტარვალი და საშინელი, ვიდრე თურქი და სპარსელი იყო.

ნეგატიური დამოკიდებულების მამოძრავებელი ფაქტორი, ობიექტურ-სუბიექტური, ბევრია და მათი დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანს. არც ისაა გამორიცხული, რომ თანამედროვე საზოგადოებამ არ მიიღოს ჩემ მიერ მოყვანილი მაგალითები რუსეთის არაბარბაროსობის თაობაზე, ვინაიდან რუსოფობიის მწვავე გამოვლინების დროს არავითარ მიუკერძოებელ არგუმენტებს არ შეუძლია უმიზეზოდ გაღიზიანებულთა დაოკება.

მაინც რამ გამოიწვია რუსეთის მიმართ „მთვლემარე“ მდგომარეობაში მყოფი „სიყვარულის“ უცაბედმა, ერთობ მოულოდნელმა გამოფხიზლებამ?

ამის მიზეზები მრავალია და მათში ლომის წილი მედიაზე მოდის. 30 წლის განმავლობაში ყოველდღიური ანტირუსული განცხადებები, რომ მიზანს მიაღწევდა და ტვინს გადაუტრიალებდა საქართველოს მოსახლეობას, ფაქტია.

ამ ხნის განმავლობაში რუსეთის დადებითად მოხსენიების ერთი შემთხვევაც არ ყოფილა. რუსეთი არის დამნაშავე ყველაფერში, იმაშიც, რაშიც მისი მონაწილეობის კვალი დაუდასტურებელია. ასე რომ, რაც არ უნდა არგუმენტები მოვიყვანო, ვიცი, ურწმუნო თომებს ვერაფერს შევაგნებინებ, მაგრამ მგონია, რომ სათქმელი, მითუმეტეს ობიექტური, მიუკერძოებად უნდა ითქვას.

დავსვამ კითხვას – მარტო რუსეთის დუმის წევრის გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომა იყო მთავარი გამაღიზიანებელი, რამაც ხალხი ქუჩაში გამოიყვანა?

პასუხი – გავრილოვის თემა იყო მასტიმულირებელი, მაგრამ მასთან ერთად იყო ლგბტს-ს, „პრაიდის“, გეი-პარადის ჩატარების თემებიც და მათ მიმართ საქართველოს ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულება. საქართველოს ხელისუფლება დადგა პრინციპულად, რაც ერთობ დასაფასებელია.

იყო სხვა თემებიც, მათ შორის გაუსაძლისი სოციალური ვითარება, რომლის ფონზე, ხალხის თვალში ხელისუფლება მოჭარბებულად კარგად ცხოვრობს. მართალია, სოციალური ლოზუნგი არავის წამოუწევია მიტინგებზე, მაგრამ ქვეცნობიერად ის ყველა მომიტინგეს თავში ტრიალებდა. იყო მოსამართლეთა დანიშვნის საკითხიც, დავითგარეჯის, უცხოეთიდან სამშობლოში დეპორტირებულთა საკითხებიც და სხვა მრავალი.

ყველა ეს პრობლემა ერთ მუშტად შეკრა და ნაცების თაოსნობით მას ანტირუსული პატრიოტიზმი დაერქვა. ვერც ერთ ჩამოთვლილ საკითხზე ნაცები ქუჩაში ხალხს ვერ გამოიყვანდნენ, ამდენად, ისე, როგორც „მშვიდობიანობის“ დროს, აქცენტი რუსულ ოკუპაციაზე, თავხედობაზე, აგრესიულობაზე გაკეთდა. ნაცთა მზაკვრულმა გათვლამ გაამართლა, მაგრამ მარტო იმათმა გათვლამ?

არა, ბატონებო! ნაცებს ზურგს უმაგრებდა და კარნახობდა ოკეანისგადაღმელი პარტნიორი. ერთ-ერთი მათგანი მაიკლ კარპენტერი, აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის მრჩეველი, ამბოხებამდე 3 დღით ადრე იმყოფებოდა თბილისში. თუ რა უთხრა მან ქართულ პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით ნაცებს – ასახვა პოვა მედიაში – რუსი ტურისტების მოჭარბებული რაოდენობა (მას ასე ჰგონია) კატასტროფულად იმოქმედებს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ისე, როგორც რუსების მიერ უძრავი ქონების შეძენა. დღეს თუ რუსეთს საქართველოს 20% უკავია, ხვალ ის (ბინების შეძენით) 100%-ს დაიკავებს.

ამერიკელმა „კეთილისმსურველმა“ კარგად აუღო ალღო საქართველოს საზოგადოების მტკივნეულ პრობლემას და აშშ-ის სასარგებლოდ ააბუნტა ხალხი რუსეთის წინააღმდეგ. ბუნტის შედეგი, რომ სერიოზულია და მის სასიკეთოდ შემობრუნებას წლები დასჭირდება, საკამათო არ არის. ასე რომ, არ იქნებოდა გავრილოვი, სხვა საბაბი გამოიძებნებოდა, მაგალითად გეი-პარადი, რომელიც მიტინგების გამო ვეღარ ჩატარდა.

გავრილოვის მაგალითმა დამარწმუნა იმაში, რომ ლავის ამოფრქვევისთვის პატარა ნაპერწკალიც საკმარისია, თორემ რუსეთის დუმის წევრის, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომა სერიოზული განხილვის საგანიც კი არ არის!

გავრილოვი არის მართლმადიდებლური საპარლამენტო ასამბლეის მიერ არჩეული თავმჯდომარე, რელიგიაში ზედმიწევნით გათვითცნობიერებული. როგორც თვითონ განაცხადა, ის სწავლობს სასულიერო სემინარიაში და მღვდლობას აპირებს.

საქართველოს ხელისუფლებამ 2 წელზე მეტია, მიმართა მას და აღნიშნულ ორგანიზაციას თბილისში ასამბლეის ჩატარების თხოვნით. გავრილოვმა და სხვებმა გაიზიარეს რა საქართველოს თხოვნა – გადაწყვიტეს თბილისში ასამბლეის ჩატარება.

საპარლამენტო ასამბლეის სხდომები წესისამებრ მასპინძელი ქვეყნის პარლამენტის დარბაზში ტარდება, რაც დიდი პატივია მასპინძელი პარლამენტისთვის. სხდომის დღეს დარბაზი ასამბლეას ეკუთვნის, ხოლო ადგილობრივი პარლამენტარები სხდომის სტუმრების როლში არიან.

იხ. 8 გვ.

ცრუ პოლიტიკოსებმა, ცრუ ისტორიკოსებმა, ცრუ პუბლიცისტებმა და ცრუ სამღვდელოებამ შექმნეს იდეოლოგიური კლიშე, რომლის მიხედვით რუსეთი საქართველოს მარადიული მტერია და მისგან არავითარ სიკეთეს არ უნდა ველოდოთ. მიუხედავად მათი მცდელობისა, საზოგადოება, რომელიც ცოცხალი ურთიერთობისა და განათლების წყალობით იცნობს რუსი ერის ბუნებასა და კულტურას, ცრუ იდეოლოგიას არ დაექვემდებარა, მაგრამ გარკვეულმა ნაწილმა უმეცრებისა და ურწმუნოების გამო რუსოფობია რევოლუციურ ლოზუნგად აქცია.

სანამ დაინტერესებული მკითხველი საქართველოს ეგზარქოსთა ისტორიასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩვენს ახალ ნაშრომს გაეცნობოდეს, მანამდე შევნიშნავთ, რომ ალ. ცაგარელის, მ. ბროსეს, ად. ბერჟესა და ვ. მაჭარაძის მიერ გამოქვეყნებული XVII-XIX საუკუნეების დოკუმენტური მასალა ერთმნიშვნელოვნად გვარწმუნებს რუსი და ქართველი ერების მეგობრული დამოკიდებულების არსებობაში და, ამასთან, გვიქმნის ნათელ წარმოდგენას რუსი ერის იმ დიდ ამაგზე, რომელიც მას ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან ხსნის საქმეში მიუძღვის.

მარტო ერთ ფაქტს შეგახსენებთ. XIX ს-ის დასაწყისში, როცა თურქების, სპარსელებისა და ლეკების გამუდმებული თარეშით სისხლდაშრეტილი და სამეფო-სამთავროებად დაშლილი „საქართველოები“ რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ქართული მოსახლეობა მხოლოდ 400 000 სულს შეადგენდა, ხოლო საუკუნის ბოლოსთვის მოსახლეობა 5-ჯერ გაიზარდა და ორ მილიონს გადააჭარბა. ფაქტობრივად, ქართველი ერი გადარჩა და ეს მოხდა რუსეთთან ერთსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობის პერიოდში!

უკვე ჩამესმის მომიტინგეთა მრისხანე შეძახილები: არა, რუსეთმა მაშინაც ჩვენი ოკუპაცია მოახდინა! რუსეთი ოკუპანტია, ოკუპანტია!!!

ჩემო გულანთებულო და გულწრფელო რევოლუციონერებო, ისტორიას აქვს ერთი თქვენთვის უცნობი, მაგრამ განსაკუთრებული თვისება: ვინც არ უნდა მოინდომოს მისი გაყალბება, გარკვეული დრო-ჟამის შემდეგ იგი ადამიანებს მაინც პირვანდელი და განახლებული სახით უბრუნდება. ახლაც ასე ხდება: თქვენი ყიჟინის მიუხედავად, მაშინ რუსეთმა საქართველოს ქვეშევრდომობა ჩვენი მეფეების ბევრი თხოვნისა და ვედრების შემდეგ აღიარა! ხოლო ნებაყოფლობითი ოკუპაცია, თქვენც დამეთახმებით, ბუნებაში არ არსებობს.

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილისთვის „რუსეთი ოკუპანტია“ დოგმატიზებული მოცემულობაა, მაგრამ საბჭოთა კავშირის უზარმაზარი სახელმწიფოს დაშლისა და წარმოქმნილი სირთულეების თვითმხილველებმა მაინც ხომ იციან, რომ ყველა ტრაგიკულ მოვლენას თავისი გამომწვევი მიზეზი ჰქონდა და რუსეთის მიერ ტერიტორიების მიტაცების სურვილით არ იყო განპირობებული. ნუთუ ძნელი დასანახია, რომ გარეშე ძალების ზეგავლენით ჩვენს სახელმწიფოს არ ძალუძს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის ნამდვილი მიზეზების დასახელება.

ჩვენ არა მარტო ერთ-ერთი უძველესი კულტურული ერი ვართ, არამედ დიდი გამოცდილების მქონე და ბევრი ჭირ-ვარამის მნახველი წინაპრების მემკვიდრენი. ჯერ არცერთ მემატიანეს არ დაუწერია, რომ სამშობლოსთვის თავდადებულ რომელიმე ქართველ მეფეს ჩვენს მტერთან და დამპყრობელთან, რა სასტიკი და დაუნდობელიც უნდა ყოფილიყო იგი, თავისი ნებით დიპლომატიური ურთიერთობა გაეწყვიტა და თუნდაც მცირე ლმობიერების მოსაპოვებლად შესაფერისი ტიტულატურითა და ქათინაურებით არ მიემართა მისთვის. ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში კი თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლები ანტირუსული დირექტივების ხმამაღლა გაცემასაც აღარ ერიდებიან და მმართველ გუნდს საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად ხელ-ფეხს უბოჭავენ.

ცოდვებმა ისე დაგვამძიმა, რომ ახლანდელი მთავრობის მოქმედებებში მხოლოდ ცუდის დანახვას ვცდილობთ, მაშინ როცა, ამ ჩვენმა პატარა ქვეყანამ, კაცმა არ იცის, როგორ ზეწოლას გაუძლო და დასავლეთის დიდ სახელმწიფოთაგან განსხვავებით ერთნაირსქესიანთა ქორწინება არ დააკანონა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი ერთ წინადადებაში კი ჩავატიეთ, მაგრამ ვიცით განა, ეროვნული ღირსების დასაცავად რა ძალისხმევა დასჭირდა ჩვენი ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელს?

სხვათა შორის, ჩვენი ოფიციალური პოლიტიკური კურსის მიუხედავად, მე სულაც არა ვარ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მომხრე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ხელისუფლებისადმი ანტაგონიზმს; მით უმეტეს, რომ მათ შორის ნამდვილად ღირსეულ პიროვნებებს ვხედავ. არც ისაა დასამალი, რომ პოლიტოლოგია ჩემი სამეცნიერო სფერო არ არის, მაგრამ, როგორც მოქალაქეს, ეროვნულ და ზნეობრივ საკითხებზე ჩამოყალიბებული აზრი მაქვს და ჩემი რელიგიური სტატუსი სამშობლოს წინაშე წარმოქმნილ პრობლემებზე აზრის გამოთქმის უფლებას არ მართმევს.

დაბოლოს, სიტყვას აღარ გავაგრძელებ რევოლუციონერების აბსურდულ მოთხოვნაზე ბ-ნ გიორგი გახარიას გადადგომასთან დაკავშირებით, მაგრამ საზოგადოებაში გამოკვეთილი აზრის გათვალისწინებით ვიტყვი, რომ იმდენად მძლავრია მუხტი შს მინისტრის თანადგომისა, სჯობს, ჩვენც მასთან ერთად სამშობლოს სიყვარულისთვის ყველაფერი ბოლომდე მოვითმინოთ და ქუჩაში გამოსვლისგან თავი შევიკავოთ, რათა ამას შედეგად სამოქალაქო დაპირისპირება და ქვეყნის კატასტროფამდე მიყვანა არ მოჰყვეს. ამიტომ ნებისყოფის მოკრებისა და მდგომარეობის განმუხტვისთვის – მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ!

ქართველო პოლიტიკანებო, ხელები შორს – პოლიტიკისგან!

(მეშვიდე გვერდიდან) საპარლამენტო ასამბლეის პროტოკოლით, ასამბლეის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი იკავებენ დარბაზში არსებულ საპატიო ადგილებს. ასეთად სპიკერის ადგილი მოიაზრება. გავრილოვმა დაიკავა პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი, არა როგორც რუსეთის დუმის დეპუტატმა, არამედ როგორც მართლმადიდებლური საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ (პრეზიდენტმა). მას რომ სხვა ადგილის დაკავების სურვილი გასჩენოდა, მასპინძელთა შეურაცხყოფა იქნებოდა. მაშინ იტყოდნენ – რუსმა გავრილოვმა არ იკადრა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომაო.

ასე რომ, არც პარლამენტის თავმჯდომარეს და არც პარლამენტის პროტოკოლის სამსახურს შეცდომა არ დაუშვიათ. შეცდომა იყო ის, რომ კობახიძემ ბოდიში მოიხადა გავრილოვის მიერ სპიკერის სავარძელში ჩაჯდომის გამო.

აი ასე, რუსები რომ იტყვიან – სრულიად „სწორ ადგილას“ ააგორა ნაცმოძრაობამ „პატრიოტული“ ბუნტი, რითაც გამოიწვია ასამბლეაში მონაწილე 20-ზე მეტი ქვეყნის პარლამენტარის და უცხოელი დამკვირვებლების გულისწყრომა.

გავრილოვი და ასამბლეის მონაწილეები დარბაზიდან გარეკეს. ასამბლეა ჩაიშალა, რასაც მოჰყვა საქართველოსთვის და არა ნაცმოძრაობისთვის არასახარბიელო დასავლური პრესა. საქართველომ და არა ნაცმოძრაობამ დაამტკიცა, რომ შორს, ძალიან შორს არის ევროპული ცივილიზაციისგან, დემოკრატიისგან, სტუმართმოყვარეობისგან, ელემენტარული ცოდნისგან, რაც ესოდენ საჭიროა თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში.

რუსოფობიის ახალმა გამოვლინებამ უზნეობის მწვერვალები დაიპყრო, რასაც რუსეთის ხელისუფლების რეაქცია მოჰყვა. დროებით გაუქმდა რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა. ტურისტულ ფირმებს რეკომენდაცია მიეცათ, არ გაყიდონ ტურები (საზგურები) საქართველოში. „როსპოტრებნადზორმა“ უკმაყოფილება გამოთქვა ქართული ღვინის ხარისხზე და ა.შ.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოში რუსი ტურისტების რიცხვი ჭარბობს ყველა სხვა ქვეყნის ტურისტებს და მათ მიერ აქ დახარჯული თანხა ერთ მილიარდ დოლარს უტოლდება – ქვეყნისთვის დიდი დანაკლისია; თუ „როსპოტრებნადზორი“ შეამცირებს ქართული ღვინის იმპორტს, აქაც დანაკარგი საგრძნობი იქნება, ვინაიდან ქართული ღვინის ექსპორტის 70% რუსეთზე მოდის. თვითმფრინაველების მიმოსვლა მარტო ტურისტების ტრანსპორტირება არ არის, მას სხვა დატვირთვაც აქვს – ტვირთბრუნვა.

ტყუილად ცდილობს ქართული მედია რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება მტრული გრძნობებით ახსნას. პრეზიდენტი უპირველესად საკუთარი ხალხის უსაფრთხოებაზე უნდა ფიქრობდეს. საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა სხვა ქვეყნის პრეზიდენტი, როდესაც მოისმენდა საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან ვიღაც შეშლილის მიერ მიკროფონში ჩაძახილ მუქარას – რუსებს ვხოცავდით, ვხოცავთ და დავხოცავთო!

ქვეყნის შიდაპოლიტიკური არეულობა მძიმე დაღს ასვამს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, ტურიზმს, ორმხრივ ურთიერთობებს, ქვეყნის იმიჯს და კიდევ სხვა მრავალს, რაც ესოდენ აუცილებელია ბიუჯეტის შევსებისთვის.

იქნებ დაფიქრდეს ვინმე და გულწრფელად თქვას – განა ლარის კურსის ვარდნა ზემონახსენები მაგალითების შედეგი არ არის?

საქართველოს პოლიტიკამ, განსაკუთრებით ნაცურმა ოპოზიციამ ქვეყანა ლამის ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა... ხელისუფლება კი შეშინებული კურდღლის როლშია და არ იცის რა იღონოს; მედია მაქსიმალურად ძაბავს ვითარებას, ნაცვლად კონსტრუქციული ქმედებისა. საბოლოო ჯამში კი ქვეყანა ეფლობა ეკონომიკურ ჭაობში, რომლიდანაც ამოსვლას მრავალი წელი დასჭირდება.

ამ დროს კი სტრასბურგში ცივილიზებულმა ევროპამ გამოასწორა რა საკუთარი შეცდომა, ევროპარლამენტში თხოვნით დააბრუნა რუსეთის დელეგაცია, აღუდგინა რა მას ყველა უფლება, რაც ჰქონდა.

პარლამენტართა ამ გადაწყვეტილებას წივილ-კივილით შეხვდა „მოძმე“ უკრაინის დელეგაცია და მასთან ერთად საქართველოც, ცხადია ბალტიისპირელებთან, პოლონელებთან ერთად. უკრაინელებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს ევროსაბჭო, მათ მხარი ჩვენც დავუჭირეთ, თუმცა შემდეგ გადავიფიქრეთ!!!

როგორ გგონია, მკითხველო, უკრაინა-საქართველოს და ბალტიისპირა სამი ქვეყნის არაცივილიზებული მოქმედება ჯდება ევროპული ოჯახისთვის დამახასიათებელ კულტურაში?

რატომღაც უკრაინელ თუ ქართველ პარლამენტარებს ჰგონიათ, რომ სტრასბურგის მიკროფონი ისეთივე „ფარჩაკია“, როგორც საკუთარი პარლამენტის.

30 წლის განმავლობაში რაც ქართულმა პოლიტიკამ ზარალი მიაყენა ქვეყანას – ეკონომიკის ნგრევა, სოციალური ვითარების უკიდურესი დაცემა, თავხედობა, უზნეობის ტირაჟირება პარლამენტის სხდომათა დარბაზში და მედიაში, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, არც ერთ მტერს არ მიუყენებია.

ტყუილად იშვერენ ხელს სხვისკენ, ტყუილად ადანაშაულებენ სხვას. საკუთარ თავს შეხედონ, ჩაიხედონ საკუთარ გულში, ხალხს ჩახედონ თვალებში – მათ მიერ დაბეჩავებულს, გაწამებულს, მოტყუებულს და გამოიტანონ მარტივი, სამართლიანი დასკვნა – პოლიტიკიდან დროულად წასვლა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ვიდეოთამაშები მომწამვლელია!

თითქმის მილიონ მომხმარებელს წლის განმავლობაში ვიდეოთამაშის ნაცვლად ინფიცირება ემუქრებოდა

უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში აღმოჩენილი და დაბლოკილი იქნა არალიცენზირებული ვიდეოთამაშების სახით გავრცელებული ვნების მომტანი პროგრამული უზრუნველყოფის ატვირთვის 930 ათასზე მეტი მცდელობა. ყველაზე მეტი ყალბი ეგზემპლარი მუქარის შიგთავსით, 310 ათასზე მეტი – ინიღბებოდა როგორც Minecraft. გარდა ამისა, თაღლითების წრეში პოპულარობით სარგებლობდნენ GTA 5 და Sims 4. ამ თამაშებს თავშეფარებულ თაღლითთა რიცხვი თითქმის თანაბარი იყო: შესაბამისად, 112 ათასი და 105 ათასი – ამის შესახებ ინფორმაციას „კასპერსკის“ ლაბორატორია ავრცელებს.

„კასპერსკის“ ლაბორატორიის განცხადებით, ასევე ვირუსის შემქმნელები ცდილობდნენ მომხმარებელთა დაინტერესებას ჯერ კიდევ გამოუცემელი, მაგრამ დაანონსებული სიახლეებით. ვნებისმომტანი ფაილები ვრცელდებოდნენ მინიმუმ ათეულობით ოფიციალურად ჯერ კიდევ გამოუსვლელი რელიზების სახით, უფრო მეტიც მათი უმეტესობა (80%) „იმალებოდნენ FIFA 20, Borderlands 3 და Elder Scrolls 6 ნიღბის ქვეშ.

დღეს კომპიუტერული თამაშებით გატაცებულია მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი და საქართველოც გამონაკლისი არ გახლავთ. ბევრს ურჩევნია, არ გამოიყენოს სპეციალიზებული პლატფორმები ლეგიტიმური კონტენტით და ჩამოტვირთონ არალიცენზირებული ვერსიები სხვადასხვა ონლაინ სერვისებიდან, რაც ხშირად საფრთხეს შეიცავს. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ვირუსების შემქმნელები სარგებლობენ ადამიანების უყურადღებობით. როცა საქმე ეხება გართობას, ისინი არ მოელიან გაცრუებას იმ თამაშიდან, რომლებსაც უკვე მრავალი წელია, თამაშობენ.

თქვენს მოწყობილობაზე პოპულარული თამაშის მაგივრად ვნებისმომტან პროგრამას რომ არ გადავეყაროთ, ამისათვის ექსპერტები გვირჩევენ, თამაშები ჩამოვტვირთოთ მხოლოდ საიმედო რეპუტაციის მქონე ლეგიტიმური სერვისებისაგან. კარგი იქნება, თუ ყურადღებას მივაქცევთ საიტის ნამდვილობას, უნდა შევამოწმოთ სწორად წერია თუ არა პორტალის დასახელება, ასევე არის თუ არა დართული მისამართის დასაწყისში https. ჩამოტვირთვის წინ დავრწმუნდეთ, რომ თამაშის დასახელებაში არ არის შეცდომა და, რა თქმა უნდა, დავაყენოთ საიმედო დამცველი გადაწყვეტილება საშიშროებათა ფართო სპექტრისგან ყოველმხრივი დაცვისათვის.

„ჩვენს ტრადიციებში არაა ჩვენი ხალხის მიმართ უხეშობისა და მუქარების „გადაყლაპვა“



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა ჟენევის მოლაპარაკებების დაწყებამდე ერთი დღით ადრე kommersant8ru-სთან ინტერვიუში მოსკოვი-თბილისის დაძაბულ ურთიერთობაზე ისაუბრა და საქართველოს მისამართით მორიგი მუქარები გააჟღერა.

„ჩემთვის მტკივნეულია გაცნობიერება, რომ სააკაშვილის სკოლის რადიკალებმა შეძლეს 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის ანტირუსულ მხარეზე შემობრუნება. შედეგად დარტყმის ქვეშ მოექცა, ყველაფერი დადებითი რისი მიღწევაც შესაძლებელი გახდა 2012 წლიდან. ახალი ატმოსფერო იწყებდა მუშაობას ჩვენი ხალხის სასარგებლოდ და უკვე მოჰქონდა შედეგები. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი არამყარია და შესაძლოა, დაუფიქრებლად განადგურდეს ბრბოს მიერ, საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების უპასუხისმგებლო და უხეში განცხადებების ფონზე. ენმ-სთან დაახლოებულმა რადიკალებმა ადვილად შეძლეს სიტუაციის დაპირისპირებისა და მტრობის ჩიხში შეყვანა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თბილისში ამას უკვე კარგად მიხვდნენ.

თბილისში როგორც ჩანს დაავიწყდათ, რომ რუსეთს თავისი წარმოდგენა აქვს ღირსებასა და პატივზე. ჩვენს ტრადიციებში არაა ჩვენი ხალხის მიმართ უხეშობისა და მუქარების „გადაყლაპვა“. ჩვენ იძულებულები ვართ, წინასწარ გავთვალოთ რისკები და დავბლოკოთ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენმა ადეკვატურმა რეაქციამ მიახვედრა ისინი, ვისაც ცინიკურად სურდა პოლიტიკურ თამაშებში ქულების მოპოვება, ანტირუსული რიტორიკისა და მუქარების ხარჯზე. ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოსთან აქტიური ურთიერთობისთვის, ჩვენ ხალხებს ეყოფათ მოთმინება და საღი აზრი, რომ ხელი შეუწყონ კონსტრუქციულ მიდგომებს“ – განაცხადა კარასინმა.

„თუ სამშობლო ფულზე მეტად გიყვარს“

(მესამე გვერდიდან)

ნინო ბურჯანაძე უდავოდ მიიჩნევს, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდება. ეს თვით სააკაშვილმაც იცისო. აქ საქმე არის იდეოლოგიაში, რომელსაც სააკაშვილი გვახვევს თავზე, ანუ სულერთია, დაბრუნდება თუ არა სააკაშვილი ხელისუფლებაში, საშიშია ე.წ. **კოლექტიური სააკაშვილი,** რომელიც იქადაგებს აბსოლუტურად იგივე „ფასეულობებსა“ და პრინციპებს, რაც საქართველოს იმავე მიმართულებით წაიყვანს, საითკენაც სააკაშვილს მიჰყავდა. საქმე პიროვნებაში კი არა, იმ პოლიტიკაშია, რასაც ის ატარებდაო.

ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს 20 ივნისის აქციაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ის და მისი თანამოსაგრეები ოფისში ისხდნენ და ტელევიზორს თვალს არ აცილებდნენ. მისი აზრით, რაც პარლამენტთან იმ დღეს ხდებოდა, ხდებოდა პროვოცირებული სცენარით. ადამიანები თავისი ემოციის მძევლები იყვნენ. მაგრამ ამავე დროს იქ „შეუიარაღებელი თვალითაც“ ვხედავდით ადამიანებს, რომლებიც მოქმედებდნენ კონკრეტული გეგმის შესაბამისად. უპირველეს ყოვლისა, მე იქ ვიცანი სააკაშვილის ყოჩები, რომლებმაც თავის დროზე დაარბიეს ჩვენი დემონსტრაცია 26 მაისს. ამას გარდა ისმოდა ჩემთვის ყოვლად მიუღებელი მოწოდებები პარლამენტის აღების თაობაზე და ა.შ.

მე ვფიქრობ, რომ ახლა ამერიკა დაინტერესებულია საქართველოს ხელისუფლებაში კოლექტიური სააკაშვილის მოსვლით. მე ხშირად ვაკრიტიკებ ბატონ ივანიშვილს და მინდა, რომ ის წავიდეს ხელისუფლებიდან, მაგრამ არა სააკაშვილის და მისი გუნდის დაბრუნების ფასად. საქართველოს აბსოლუტური განახლება სჭირდება.

ჟურნალისტის კითხვაზე, მერედა არის კი ასეთი ალტერნატივა, ქალბატონი ნინო დაბეჯითებით ამბობს, ივანიშვილის გადაწყვეტილება არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების შესახებ, რაზეც ის იძულებით წავიდა, მაგრამ წავიდა, ძალიან კარგ შანსს ქმნის ჩემი და ბევრი სხვა პარტიისთვისო.

აქამდე ქალბატონ ნინოს მსჯელობას სამართლიანობის თვალსაზრისით წუნს ვერ დასდებ, შემდეგ კი აშკარად მიკერძოებულია. მხოლოდ შავი ფერებით აფასებს ივანიშვილის ხელისუფლების 7 წელს, ივანიშვილი არა მხოლოდ გამოუცდელი პოლიტიკოსია, არამედ საერთოდ არ არის პოლიტიკოსი. ეს არის კაცი, ვინც რუსეთში დიდი ფული იშოვა თავზეხელაღებულ 90-იან წლებში. ამასთან ჭკვიანი კაცია, რადგან უჭკუო ადამიანი ამდენ ფულს ვერც იშოვიდა და ვერც შეინარჩუნებდა. მაგრამ ის პოლიტიკოსი არ არის. პოლიტიკა სხვაა, ბიზნესი — სხვა.

ივანიშვილის ქველმოქმედება, რომლითაც მან თავის დროზე მიიმხრო ხალხი და დაამარცხა სააკაშვილი, აბსოლუტურად მიზანმიმართული იყო, წარიმართებოდა არა დევნილთა, ან არასმქონეთა დასახმარებლად, ან სნეული ბავშვებისთვის და ა.შ. ივანიშვილის დახმარება ეძლეოდათ ძირითადად სპორტსმენებს, თეატრის, ხელოვნების ხალხს... ანუ ჰქონდა განსაზღვრული მიმართულება.

როცა ის პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა, ხალხი უმალ მიხვდა: ან ივანიშვილი საქართველოს გაათავისუფლებდა სააკაშვილისგან, თავისი მილიარდებით და ხალხის დიდი მხარდაჭერით, ან სააკაშვილი წავიდოდა დიდი სისხლის ფასად.

სააკაშვილი უსისხლოდ წავიდა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა პირველივე დღეებიდან დაუშვა შეცდომები, მაგალითად, გამარჯვების შემდეგ ივანიშვილის ხალხი აცხადებდა, რომ გაიმარჯვა დემოკრატიული არჩევნების შედეგად. ეს საფუძველშივე მცდარი იყო, — აცხადებს ქალბატონი ნინო. ამით სააკაშვილს საშუალება მისცეს, ეთქვა, რომ ის დიქტატორი კი არა, დემოკრატი იყო, რომელმაც ხელისუფლება მეორე პოლიტიკურ პარტიას გადააბარა დემოკრატიული გზით. სინამდვილეში არავითარი დემოკრატიული არჩევნები არ ყოფილა.

შემდეგ იყო ეს კოჰაბიტაცია, როცა ივანიშვილმა განიზრახა, გაეცებინა ევროპა თავისი დემოკრატიულობით და იმის ნაცვლად, რომ სისხლის სამართლის საქმე აღეძრა სააკაშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ, თანამშრომლობა დაიწყო ამ ხალხთან.

რა თქმა უნდა, ივანიშვილის ხელისუფლება რბილი ხელისუფლება იყო, ვიდრე სააკაშვილისა. ნაკლებად ირღვეოდა ადამიანის უფლებები. დანარჩენი კი ძველებურად დარჩა: მედიის კონტროლი, სასამართლო, პროკურატურა, პარლამენტი, ფალსიფიცირებული არჩევნები და ა.შ.

დღეს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არც ივანიშვილი უნდა და არც სააკაშვილი. ჯერჯერობით ივანიშვილი ნაკლები ბოროტებაა, მაგრამ რომ არა მისი სრულიად სწორი ნაბიჯი არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების შესახებ, იგი ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა.

ივანიშვილისა და მისი გუნდის შეცდომებმა ჩვენ რამდენიმე წლით უკან დაგვწია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე. ინტერვიუში სხვა თემებზეც არის საუბარი, მაგალითად, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის სტატუს-კვოზე, მიმდინარე მოვლენებზე, პრეზიდენტ პუტინის რეაქციის ადეკვატურობაზე და სხვა, მაგრამ ამჯერად ჩვენ „ვითარებასთან უფრო ახლოს მდგომები“ შევარჩიეთ...

სანდრო ალექსიძე

ოპერის კამერატა

წლეულს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ოპერის კამერული ორკესტრის წარდგინება-კონცერტი, რომელშიც გაერთიანებული არიან მსოფლიო დონის მუსიკოსები.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ბადრი მაისურაძემ** დამსწრე საზოგადოებას მიუღოცა ოპერისა და ბალეტის თეატრთან კამერული ორკესტრის შექმნა — **„ჩვენი უპირველესი მიზანი ყოველთვის იქნება, მოგანიჭოთ სიამოვნება და სიხარული კამერული მუსიკის მოყვარულებს. კამერული ორკესტრის პრეზენტაცია-კონცერტიც, სადაც დასწრება თავისუფალი იყო, ამის დასტური გახლდათ“.**

გულში ჩამწვდომი იყო თითოეული მუსიკალური ნაწარმოები. უდიდესი სიამოვნება მიანიჭა მსმენელს მოცარტის დივერტისმენტმა, მენდელსონის სიმფონიამ,ბარტოკოს რუმინულმა ხალურმა ცეკვებმა, სულხან ცინცაძის მინიატიურებმა, ალექსი მაჭავარიანის — დოლურმა.

კონცერტის სოლისტი და დირიჟორი გახლდათ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის პირველი მევიოლინე „მსოფლიო ორკესტრი მშვიდობისთვის“ საქართველოს წარმომადგენელი **ლელა მჭედლიძე,** რომელმაც დიდებულად იდირიჟორა და ბისზე რამდენიმე ნაწარმოებიც შეასრულა.

ნანა ჟიჟინაძე

ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“ თურქეთში

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა რატი ბრეგაძემ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ და სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა ჯამბაზიშვილმა. ხაზი გაესვა ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელობას, როგორც ქართული კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციის, ასევე ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარების საქმეში.

საღამოს ფარგლებში, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა და საქართველოს ელჩმა ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის თავმჯდომარეს ომერ ფარუქ დემირთაშს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ფესტივალის ფარგლებში, ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციაში ჩატარდა წიგნის პრეზენტაცია, რომელიც ეძღვნება 1936-2003 წლებში თურქეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერს — ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს, მთარგმნელს, პოეტსა და პუბლიცისტს ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძეს).

სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია იწყება

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით სექტემბრიდან საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტის საფუძველზე სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის სრულმასშტაბიან რეაბილიტაციას დაიწყებს.

სარესტავრაციო პროცესი ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის სამუზეუმო კომპლექსში შემავალი სამი შენობის — ისტორიული მუზეუმის შენობის, ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის, ნიკოლოზ ყაზბეგის (ალ. ყაზბეგის ბიძა) სახლის აღდგენასა და მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობას მოიცავს.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა 21 ივნისს უკვე გამოაცხადა ტენდერი, რომელიც 22 ივლისს დასრულდება. ამ ეტაპზე კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაციაში ყველა ის კორექტირებული სარესტავრაციო მოთხოვნაა გათვალისწინებული, რომელიც რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში 2017 წელს დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისას გამოვლენილმა ავთენტურმა ინტერიერმა განაპირობა. 2 წლის წინ სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში ფიზიკური სამუშაოების მიმდინარეობისას ისტორიული ნაგებობის თავდაპირველი, არსებულისგან სრულიად განსხვავებული იერსახე გამოჩნდა. კედლის ნალესობისა და იატაკის ფენილის მოხსნის შედეგად ინტერიერში პირველადი სახის სართულშუა გადახურვის სტრუქტურის, კირით ნალესი კედლების, ტერასისა და აივნის ამაღლებული დონეების, ბუხრების, ნიშების, კედლებში გაჭრილი და აგურით ამოშენებული თაღებისა და ღუმელებად გადაკეთებული საბუხრე ღიობების გამოვლენამ მიმდინარე სამუშაოების შეჩერება და კვლევითი-საპროექტო სამუშაოს განახლება განაპირობა. სარეაბილიტაციო პროცესის დასრულების შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლი თანამედროვე სამუზეუმო მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი.



◎ თაობა

შესანიშნავი შვიდეული

ორ-ორი ოქრო-ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი - ასეთი ნადავლით დაასრულა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 15-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც პოლონეთმა უმასპინძლა.

ლევან შავაძის შეგირდთაგან ყველა ორთაბრძოლა მოიგეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ აჩიკო ბოლქვაძე (62 კგ) და ლუკა გელაშვილი (68 კგ). მსგავს წარმატებამდე თითო მოგება დააკლდათ და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ ანრი თავართქილაძე (44 კგ) და თორნიკე შაინიძე (48 კგ), ხოლო თამაზ ღლონტი (44 კგ), თემურ ორჯონიკიძე (57 კგ) და ნიკოლოზ შიუკაშვილი (75 კგ) მესამე ადგილებზე გავიდნენ. ამგვარი წარმატებით საქართველოს ნაკრებს საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი ხვდა.

გივი გაგუა

◎ ფარიკაობა

ხვალიდან - ნეაპოლში

იტალიური ნეაპოლი 4 ივლისიდან ზაფხულის უნივერსიადას უმასპინძლებს, სადაც მოფარიკავეთა შეჯიბრებაში ხუთი ქართველი იბრძოლებს მედლებისთვის. ხვალ მოხმალავეთა პირველობაში ჩაებმება მიხეილ მარდალეიშვილი, ექვსში კი მოხმალავე გოგონები — ლიკა ჯიჯეიშვილი, თეონა გოგლიძე და რაპირით მოასპარეზე ლუკა ღაღანიძე და ლაშა გალუაშვილი დაუპირისპირდებიან მეტოქეებს.

როგორც საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ბაზაძემ გვითხრა, ეს ტურნირი ქართველ მუშკეტერთათვის გენერალური რეპეტიცია იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც 14 ივლისიდან ბუდაპეშტში გაიმართება. უნგრეთის დედაქალაქში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ მოხმალავეები — სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი. გუნდში მეოთხე ადგილს ნიკა შენგელიას, საბა სულამანიძესა და ვაჟა რეჭიას შორის საუკეთესო დაიკავებს. ქალებში ლიკა ჯიჯეიშვილი, თეოდორა კახიანი და დარია ანტონოვა იასპარეზებენ, დაშნით მაია გუჩმაზოვა, რაპირით კი ლუკა ღაღანიძე და ლაშა გალუაშვილი მოსინჯავენ ძალებს.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

დანის პირზე

უიმბლდონის მე-18 განთესვის მქონე ნიკოლოზ ბასილაშვილი წარმატებით ჩაება დიდი

სლემის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში, თუმცა, ველური ბარათით დაშვებულ კორტის მასპინძელ ჯეიმს უორდის დასამარცხებლად უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუხდა.

თავად განსაჯეთ — პირველი და მეორე პარტიების წაგების — 2:6, 4:6 — შემდეგ ჩვენი თანამემამულე უფსკრულის პირას აღმოჩნდა, მაგრამ კრიტიკულ ვითარებაში ძალები მოიკრიბა და ჩარხის წაღმა შემოტრიალება შეძლო — 6:4, 6:4, 8:6.

აღსანიშნავია, რომ მეორე წრეში იგი კიდევ ერთ ბრიტანელს დენ ევანსს გაეჯიბრება, რომელმაც სამ სეტში არგენტინელ ფედერიკო დელ ბონისს სძლია — 6:3, 7:6, 6:3.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

მეხუთედ - ესპანეთი!

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის სტარტზე ერთ-ერთი ფავორიტი ესპანეთი მასპინძელ იტალიასთან 1:3 დამარცხდა.

მაშინ, ალბათ, ბევრმა ჩამოწერა პირენეელები, მაგრამ მოხდა ის, რაც 2010 წელს უფროსთა „ფურია როხამ“ მოახერხა შვეიცარიასთან პირველი შეეედრის წაგების შემდეგ — ყველაფერი ტრიუმფით დასრულდა.

ფინალში „წითლებმა“ 2:1 სძლიეს გერმანიას, რითაც რევანში აიღეს აღნიშნულ მეტოქესთან წინა ფორუმის სატიტულო ბრძოლის დათმობისთვის.

აღსანიშნავია, რომ აპენინებზე მოპოვებული წარმატება ესპანელთათვის მეხუთე იყო და ამ მაჩვენებლით ისინი „სკუადრა აძურას“ გაუტოლდნენ, რაც სარეკორდოა „ძველ სამყაროში“.

და კიდევ: 21-წლამდელთა კონტინენტური ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად „ნაპოლის“ ესპანელი ლეგიონერი ფაბიან რუისი დაასახელეს, რომელმაც ფინალურ მატჩში გახსნა ანგარიში.

იგი თანამემამულეთაგან მეექვსეა, ვისაც ასეთი აღიარება ხვდა წილად: მანოლო სანჩესი (1986), ფრანსესკ არნაუ (1999), ხუან მატა (2011), ტიაგო ალკანტარა (2013) და დანი სებალოსი (2017).

გიორგი ზოთაძე

◎ პირადი გამოცდილება

ვებრძოლოთ მანკიერებას!

სკოლაში ჩემმა 40-წლიანმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ძვირფასი გამოცდილება დამიგროვა, რაც საფუძველს მაძლევს გარკვეული დასკვნები გამოვიტანო და დაინტერესებულ მხარეებს გავუზიარო. ხომ გსმენიათ — სწავლა სიბერემდეო.

მიმაჩნია, რომ, უპირველესად, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენად გონივრულად ვიყენებთ მოზარდის თავისუფალ დროს. დამეთანხმებით, ჯერჯერობით ამ მხრივ სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს.

არანაკლებ პრობლემატურად რჩება ახლო წარსულიდან გადმოყოლილი ტრადიცია — სიჭაბუკეში წარმატებებს ვაღწევთ, მოგვიანებით კი პოზიციებს ვთმობთ და ნაადრევად ვასრულებთ კარიერას. მართალია, ქართველ სპორტსმენთა სანიმუშო მოქალაქეობრივი თვისებები საყოველთაოდ იყო აღიარებული, მაგრამ ამ ბოლო დროს ათლეტთა ნაწილისა და მათ ხელმძღვანელთა გამაოგნებელმა საქციელმა ეს საკითხი სულ სხვა კუთხით წარმოაჩინა.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ პრესამ და ტელევიზიამ, რომელთაც ხელეწიფებათ მომავალ თაობებს ისეთი სტატიები და სიუჟეტები შესთავაზონ, რომელიც სასიკეთოდ იმოქმედებს მათ ზნეობრიობაზე. ამ მხრივ როგორ არ გავიხსენოთ ის დრო, როცა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებულ სპორტსმენებს დაუვიწყარ შეხვედრებს უწყობდნენ.

არანაკლებ საშურად მესახება განთქმული ოჯახური დინასტიების მიღწევათა პოპულარიზაცია — ეს ეხება როგორც ძველ გვარდიას (მაგ. ლეგენდარული ქორქიების საკალათბურთო ნაკაიკაცარი), ისე თანამედროვე ვარსკვლავებს. საილუსტრაციოდ მეცხრე ოლიმპიური ლიცენზიის მფლობელის ნინო სალუქვაძის, მისი მწვრთნელი მამის ვახტანგ სალუქვაძისა და ვაჟის — ცოტნე მაჭავარიანის მონაგრის დასახელებაც კმარა. აღარაფერს ვამბობ პლანეტის უღონიერეს ადამიანზე — ლაშა ტალახაძეზე.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე ჩემი თანაქალაქელის — მინდია ლილუაშვილის მიერ მინსკის მეორე ევროპულ თამაშებზე მოპოვებულ „ვერცხლზე“. მიხეილ სალაძისა და თემურ ლეჟავას შემდეგ ასეთ დიდ გამარჯვებებს ზესტაფონელები 40 წელიწადი ველოდებოდით, ამიტომ კარგი იქება, თუ მინდიასა და მის მწვრთნელთა ამაგს ადგილობრივი ხელმძღვანელები საკადრისად დააფასებენ, რაც საუკეთესო პროპაგანდა იქნება მომავალ ჩემპიონთათვის.

დაბოლოს, თუ გვსურს, მანკიერებანი წარსულს ჩავაბაროთ, პირუთვნელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ისეთ სენს, როგორიცაა საბუთების გაყალბებით გამოწვეული გადაზრდილ სპორტსმენთა ფენომენი და ბავშვთა სპორტში დამკვიდრებული ფულის აკრეფის ტენდენცია, როცა, მართალია, სახელმწიფო აფინანსებს მწვრთნელს, მაგრამ იგი მაინც დამატებით შემოსავალზე ზრუნავს.

ეჰ, სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ...

ბეჟან ჩხეიძე,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ზესტაფონიდან.

ახალი 10-ლარიანები მიმოქცევაში პირველი ოქტომბრიდან გამოვა

2019 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში განახლებულ 10 ლარის ნომინალის ბანკნოტებს გაუშვებს. ახალი მოდიფიკაციის 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში წინა წლების გამოშვების იმავე ნომინალის ბანკნოტების პარალელურად იქნება.

განახლებული 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები საზოგადოებას გუშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ წარუდგინა.

„საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2015 წელს, ლარის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ეროვნული ვალუტის — ლარის ბანკნოტების განახლების პროექტი დააანონსა. დაიწყო ინტენსიური სამუშაოები, გამოცდილების მოძიება, ახალი ტექნოლოგიების გაცნობა, სხვა ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებთან შეხვედრები. ძალიან დიდია პასუხისმგებლობა, როდესაც ისეთ მნიშვნელოვან სიმბოლოს ეხები, როგორიც ლარია. ეს არ არის ჩვენთვის მხოლოდ გადახდის საშუალება, ლარი გარკვეულწილად ეროვნული იდენტობის მახასიათებლებსაც ატარებს.

2015 წლის 3 ნოემბერს საზოგადოებას წარვუდგინეთ მოდიფიცირებული ლარის ნიშნების ახალი ოჯახი — განახლებული, 20, 50, 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები, რომელიც დაბეჭდილია უმაღლესი ხარისხის, ცვეთის მიმართ მდგრად ქაღალდზე და აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე დამცავი ნიშნებით.

განახლებული ბანკნოტების დიზაინში ასახულია საქართველოს ის კულტურულ-ისტორიული და ტრადიციული ღირებულებები, რომლებიც თითოეულ ნომინალზე თემატურადაა წარმოდგენილი. განახლებულ ბანკნოტებზე დატანილია ძველ ნომინალზე არსებული სურათები, თუმცა განსხვავებული პორტრეტებითა და რაკურსებით. ასევე, ლარის ბანკნოტზე შეიცვალა და დაემატა დიზაინის ცალკეული ელემენტებიც. აღსანიშნავია, რომ თემატიკის შენარჩუნების თვალსაზრისით, ახალი ბანკნოტების, კერძოდ კი 5 და 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტების დიზაინში გადატანილია 1 და 2-ლარიანი ბანკნოტების დიზაინში არსებული ძირითადი მოტივები. ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტი სიზუსტით, მრავალფეროვნებითა და თანამედროვე იერსახით წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

დღეს კი წარმოგიდგენთ განახლებული ლარის ოჯახის ბოლო წევრს — 10 ლარის ნომინალის ბანკნოტს, ამით ლარის განახლების პროცესი დასრულდა“, — განაცხადა პრეზენტაციაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

განახლებული ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება დაიწყო ეტაპობრივად: 2016 წლის 1 თებერვლიდან მიმოქცევაში გავიდა 20 და 50 ლარის ნომინალის ბანკნოტები, შემდეგ, 2016 წლის 1 ნოემბრიდან — 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები, ხოლო 5 ლარის ნომინალის ბანკნოტები 2017 წლის 1 სექტემბრიდან ჩაეშვა.

ლარის განახლებული ბანკნოტების დიზაინის შემადგენელი დეტალები მაქსიმალურადაა ინტეგრირებული დამცავ ნიშნებთან, მათი გაფორმების სტილი, პარამეტრები და დამცავი ნიშნები თანამედროვე, აპრობირებული და თანმიმდევრულია თითოეული ნომინალისათვის და მთლიანობაში ქმნის ერთიანი ოჯახის კონცეფციას, რაც იყო კიდევაც პროექტის ძირითადი მიზანი.

ლარის განახლებული ბანკნოტების დიზაინი შექმნა ბაჩა მალაზონიამ.

სანთელი

კომპანია „გეოპლანტის“, „ჩაის ქართული ტექნოლოგიებისა“ და „გეოფლაუერის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ და თანაუგრძნობენ ბატონ გოჩა ძნელაძეს მამის — ჩაის მრეწველობის ცნობილი ორგანიზატორისა და მეცნიერის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის

ზურაბ ძნელაძის

გარდაცვალების გამო.

კოლხეთის ეროვნულ პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურა განახლდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო განაგრძობს ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობას.

კოლხეთის ეროვნულ პარკში მოეწყო და განახლდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელიც დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ვალერიან მჭედლიძემ გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკის ლაც-ს სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის ეზოში მოეწყო საპიკნიკე ადგილები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის განკუთვნილ პირსს. პალიასტომის ტბაზე შეკეთდა ფრინველებზე დაკვირვების კოშკურები. ასევე ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდმა „შავი ზღვის ტერმინალის“ ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.

კოლხეთის ეროვნული პარკი უნიკალური ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული დაცული ტერიტორიაა, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს მოიცავს. კოლხეთის ეროვნული პარკი პირველი დაცული ტერიტორიაა, რომელიც საქართველოდან იუნესკოს ბუნებრივი მემკვიდრეობის საიტის სტატუსის მოსაპოვებლადაა წარდგენილი.

ტკბილი „მათემატიკოსები“

კიდევ ერთი მიზეზი გჭირდებათ ფუტკრების შესაყვარებლად? ყვავილების მეგობარი ეს ციცქნა არსებები თავს ართმევენ არა მხოლოდ საბაზისო არითმეტიკას, არამედ, როგორც მეცნიერებმა ახლახან აღმოაჩინეს, მათ შეუძლიათ, ამოიცნონ ციფრებთან დაკავშირებული სიმბოლოები.

ზუსტად ისე, როგორც ადამიანები სცნობენ, რომ სიმბოლო 7 ან VII დაკავშირებულია შვიდის ოდენობასთან, სავარაუდოდ, ფუტკრებსაც იგივე ასოციაცია უჩნდებათ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფუტკრები იგებენ არა მხოლოდ ოდენობას, მიმატებასა და გამოკლებას, არამედ ამ კონცეპტებისთვის აღიქვამენ სიმბოლოების ენასაც.

მკვლევარ ადრიან დაიარის განცხადებით, ბავშვობაში ნასწავლი ციფრები სამუდამოდ გვამახსოვრდება, მაგრამ იმის გაანალიზება, თუ რას წარმოადგენს სინამვილეში „4“, საჭიროა გონებრივი შესაძლებლობის საკმაოდ მაღალი დონე.

მისივე თქმით, კვლევებმა აჩვენა, რომ სიმბოლოების ციფრებთან დაკავშირების სწავლა პრიმატებსა და ფრინველებსაც შეუძლიათ. თუმცა, პირველი შემთხვევაა, როცა ეს უნარი მწერებშიც შევნიშნეთ.

მეცნიერები აქამდეც ეჭვობდნენ, რომ ეს შესაძლებელი იყო. ფრთხილი ექსპერიმენტების შედეგად მათ დაადგინეს, რომ ძალიან საბაზისო არითმეტიკის გამოყენებისთვის, მიმატებისა და გამოკლების შესასრულებლად, ფუტკრებს სიმბოლოების აღქმა აქვთ.

წინა კვლევებიდან უკვე ვიცით, რომ ფუტკრებს შეუძლიათ კომუნიკაციაც, რისთვისაც *„რხევებით ცეკვას“* იყენებენ, რათა სხვა ფუტკრებს ნექტარის ადგილმდებარეობის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია.

თუმცა, ახალმა კვლევამ ერთი ნაბიჯით უფრო წინ წაიწია და პირველად ისტორიაში, აჩვენა, რომ ადამიანების, შიმპანზეებისა და მტრედების მსგავსად, უხერხემლოებსაც შეუძლიათ მათემატიკის ენის გაგება და გამოყენება.

მკვლევარებმა გამოიყენეს სისტემა, რომლითაც წარსულში დაადგინეს, რომ მტრედები რიცხვით სიმბოლოებს ცნობდნენ. გამოგონილი სიმბოლოები სიმრავლის მიხედვით Y-ს ფორმის ლაბირინთში მოათავსეს.

შემდეგ ფუტკრებს ამ ლაბირინთში შეფრენა ასწავლეს, სადაც ისინი სტიმულს ხედავდნენ — სიმბოლოს ან ფოტოს, რომელზეც ორი ან სამი სხვადასხვა ფორმა იყო გამოსახული. შემდეგ ისინი შეფრინდებოდნენ „გადაწყვეტილების“ კამერაში. იქ კი მათ ორი პარამეტრი ელოდებოდათ.

როცა თავდაპირველად მათ ნიშანს აჩვენებდნენ, შემდეგი ორი პარამეტრი წარმოადგენდა ორი ფორმის ფოტოსა და სამი ფორმის ფოტოს. ამის შემდეგ მათ უნდა ამოერჩიათ ფორმების ზუსტი ციფრი, რომელიც ნიშანს დაემთხვეოდა. როცა თავდაპირველად ფუტკრებს ფორმების ციფრებს აჩვენებდნენ, ორი პარამეტრი ორი განსხვავებული ნიშანი უნდა ყოფილიყო და მათ ნიშნის ციფრი უნდა დაემთხვიათ ნანახისთვის.

თუ ფუტკრები სწორად აირჩევდნენ, N-ის ფორმის ნიშანს ორ საგანს დაამთხვევდნენ და გადმოტრიალებულ T-ს სამ საგანს, ჯილდოს სახით შაქარს აძლევდნენ, არასწორი პასუხის შემთხვევაში კი უსიამოვნო გემოს მქონე ქინინს.

50 ცდის შემდეგ, ფუტკრები თანდათან სწორად ამთხვევდნენ ნიშნებს ციფრებს, დაახლოებით 75-პროცენტიანი სიზუსტით. ამის შემდეგ, მეცნიერებმა ფუტკრები ახალ ფერებზე, მახასიათებლებსა და ფორმებზე შეამოწმეს, რათა დაედგინათ, ფუტკრები ციფრებს სიმბოლოებს ამთხვევდნენ თუ მთლიან ფოტოს.

ფუტკრებმა სიმბოლოები მაინც ფოტოზე ასახულ ციფრების ფორმებს დაამთხვიეს.

თუმცა, ფუტკრებმა თავი ვერ გაართვეს ამ პროცესის შებრუნებულ ვერსიას. მეცნიერთა განცხადებით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ სიმბოლოების დამუშავება და აღქმა ფუტკრების ტვინის სხვადასხვა რეგიონში ხდება.

ეს კვლევა სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ ფუტკრებს თავად რაოდენობაში ჩაწვდომა შეუძლიათ — მათ უბრალოდ ძალუძთ, რაოდენობა დაამთხვიონ სიმბოლოს.

ერთ მშვენიერ დღესაც, მსგავსი მიგნებები შეიძლება, ფუტკრებთან კომუნიკაციაში დაგვეხმაროს.

კვლევა ჟურნალ Proceedings of Royal Society B-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია rmit.edu.au-**სა და** ScienceAlert-**ის მიხედვით.**

მიხეილ ჭაბუკაშვილი

იაპონელი კალიგრაფიის ოსტატის ნამუშევრები სილნალში

სილნალის მუზეუმში იაპონელი ხელოვანის კოშუს (აკემი ლუკასი) კალიგრაფიის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა „ექო“ გაიმართება.

კოშუ იაპონიაში დაიბადა. კალიგრაფიის შესწავლა რვა წლიდან დაიწყო. მისი გამორჩეული სტილის კალიგრაფია ეფუძნება იაპონურ ტრადიციულ ცოდნას. ხელოვანი მუდმივად მართავს გამოფენებს, პერფორმანსებს, ვორქშოფებს და მუშაობს სხვადასხვა პროექტზე.

კოშუმ მონაწილეობა მიიღო ლონისძიებების ციკლში „ტოკუგავა და ოსტატები“, რომლის საჯარო ლექციათა ნაწილსაც 2018 წლის ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა უმასპინძლა.

გამოფენა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საქართველოში იაპონიის საელჩოს ორგანიზებით გაიმართება.

ქართულ ფილმებს „ოსკარისთვის“ არჩევენ

ეროვნული კინოცენტრი ოსკარის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმის გამოსავლენად განაცხადების მიღებას იწყებს.

ფილმების მიღება ეროვნულმა კინოცენტრმა 2 ივლისს დაიწყო. კანდიდატი ფილმების შესარჩევად განაცხადის მიღების ბოლო ვადა 26 ივლისია.

საქართველოს კანდიდატ ფილმს სპეციალური კომისია ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამოავლენს. კომისიის წევრებისთვის კვალიფიციური ფილმების ჩვენება ივლისის ბოლოს იგეგმება.

ამასთან, წელს ამერიკის კინოაკადემიის გადაწყვეტილებით ოსკარის უცხოენოვანი ფილმის ნომინაციას სახელი შეეცვალა და მას საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაცია დაერქვა.

ქართული ღვინის წარდგინება ამერიკაში

ნიუ-იორკში, ჩიკაგოსა და ბოსტონში ქართული ღვინო წარადგინეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, პრეზენტაცია, დეგუსტაციებთან ერთად, ქართული ღვინის კულტურისა და თანამედროვე ღვინის ინდუსტრიის შესახებ სემინარს მოიცავდა.

ღონისძიებებს ამერიკელი ტოპ-სომელიე ტეილორ პარსონსი უძღვებოდა.

ღვინის წარდგენას ქართველი ღვინის მწარმოებლები, ადგილობრივი ღვინით მოვაჭრეები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, უწყების მიერ ამერიკის შეერთებული შტატები შეირჩა როგორც ქართული ღვინის ერთ-ერთი პოტენციურად მზარდი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარი.

სააგენტო განმარტავს, რომ ღვინის მწარმოებლებთან თანმიმდევრული და მიზანმიმართული თანამშრომლობის შედეგად, აშშ-ის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტი სტაბილურად მზარდია. 2019 წლის ექვსი თვის მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში 354 ათასი ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, ზრდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 90 პროცენტს შეადგენს.



როგორი იქნება ადამიანი 3000 წელს

მასიური თავის ქალა, მცირე ზომის ტვინი და ორი დამატებითი ქუთუთო — ეს არის ადამიანის სხეულის რამდენიმე ცვლილება, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით იქნება გამოწვეული.

ტელეკომუნიკაციების სფეროში მომუშავე კომპანია TollFreeForwarding-მა ექსპერტების პროგნოზებისა და სამეცნიერო კვლევების საფუძველზე მომავლის ადამიანის 3D მოდელი შექმნა.

„მინდი 31-ე საუკუნეში ცხოვრობს. ის დროის დიდ ნაწილს კომპიუტერის მონიტორთან ატარებს. გარდა ამისა, მინდი ხშირად უყურებს სმარტფონს, რის გამოც უფრო მასიური და ძლიერი კისრის კუნთები და დარღვეული ტანადობა აქვს.

თავდახრილ მდგომარეობაში გატარებული საათები ხერხემლის წონასწორობას არღვევს. შესაბამისად, თავის შესაკავებლად კისრის კუნთებზე დამატებითი დატვირთვა მოდის“, — აცხადებენ მეცნიერები.

თუმცა ადაპტაცია ამით არ შემოიფარგლება. მინდის თავის ქალა უფრო სქელია, რაც ტვინს სმარტფონებისგან მომდინარე რადიოსიხშირული გამოსხივებისგან იცავს. გაჯეტების გამო მინდის ხელი მუდამ შეკუმშულ მდგომარეობაშია, იდაყვი კი 90 გრადუსით არის მოხრილი.

ბოლო და ყველაზე უცნაურ ცვლილებას კი დამატებითი ქუთუთოები წარმოადგენს, რომელიც ელექტრონული ტექნიკისგან მომდინარე სინათლეს ფილტრავს.

ინფიცირებული მწერები... საავადმყოფოში

საავადმყოფოებში მფრინავი მწერები შეიძლება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ. ახალი კვლევის მიხედვით, ინგლისის შვიდ სხვადასხვა საავადმყოფოში შემოწმებულ 10-დან 9 მფრინავ მწერს სხეულში პოტენციურად საშიში ბაქტერია ჰქონდა.

ბაქტერიის შტამების ნახევარზე მეტი ე. წ. სუპერბაგი აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რეზისტენტული არიან ანტიბიოტიკთა სულ მცირე ერთი კლასის მიმართ, სხვადასხვა კლასის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტულობა კი 20 პროცენტი აღმოჩნდა. აღმოჩენილი ბაქტერიის წინააღმდეგ ყველაზე ნაკლებად ეფექტიანი ანტიბიოტიკი პენიცილინი აღმოჩნდა.

კვლევის ავტორის ფედერიკა ბიოჩის განცხადებით, ფართომასშტაბიანი მიკრობიოლოგიური ანალიზები აჩვენებს, რომ გაერთიანებული სამეფოს საავადმყოფოებში შეგროვებულ მფრინავ მწერთა უმეტესობას სხვადასხვა სახის პათოგენური ბაქტერია ჰქონდათ.

მისივე თქმით, ყველაზე საინტერესოა მწერებში ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიის პროპორცია. ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს მკურნალობის დროს ანტიბიოტიკების გადაჭარბებული მოხმარების საფრთხეებზე.

მწერებში სულ 86 ბაქტერიული შტამი გამოვლინდა; 41 პროცენტ შემთხვევაში ისინი E. Coli-სა და სალმონელას ოჯახს მიეკუთვნებოდა.

შტამების 24 პროცენტი მიეკუთვნებოდა ტოქსიკურ B. Cereus-ს, 19 პროცენტი კი ოჯახს, რომელსაც შეუძლია, გამოიწვიოს კანის ინფექციები, ჩირქოვანი გამონაყარი და რესპირატორული ინფექციები.

18 თვის განმავლობაში, მკვლევარებმა 20 000-მდე მფრინავი მწერი შეაგროვეს.

კვლევის თანაავტორის, მიკრობიოლოგიის პროფესორის ენტონი ჰილტონის განცხადებით, მწერები დაიჭირეს ერთ-ერთ ყველაზე სუფთა საავადმყოფოებში, სადაც მწერების მიერ პაციენტებს შორის დაავადებების გადატანის შანსი ძალიან დაბალია.

მისი თქმით, ასეთ სუფთა გარემოშიც კი, მწერებში საშიში ბაქტერიები მაინც ხვდება.

მწერების უფრო დიდი ოდენობა დაიჭირეს გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მფრინავი მწერები დაიჭირეს საავადმყოფოების მრავალ სხვადასხვა ადგილას, მათ შორის სასადილოებში, მნახველებისა და თანამშრომლების ზონებში, პაციენტების ოთახებში, სამშობიარო განყოფილებებში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„ კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8225; ევრო - 3.1979;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5668;
100 რუბლი - 4.4733; თურქული ლირა - 0.4965;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6652;
1000 სომხური დრამი - 5.9234.

ამინდი 3 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge